პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 44 (10741) | ხუთშაბათი, 21 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

პარტიული ბიუროს წევრი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დიდია პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პარტბიუროს პრძოლისუნარიანობაზე, იმაზე, თუ როგორ ზრდის იგი კომუნისტებს დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, როგორ ზრუნავს მათი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობა საინტერესო და სისხლსავსეა იქ, სადაც პარტბიურო ნამდვილად წარმოადგენს კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოს, სადაც უზრუნველყოფილია პარტბიუროს ყველა წევრის აქტიური, საქმიანი მონაწილეობა პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე წინანდელთან შედარებით ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში არჩეულ იქნა გაცილებით მეტი კომუნისტი მუშათა, კოლმეურნეთა, სპეციალისტთა შემადგენლობიდან. იმყოფებიან რა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, ამ ამხანაგებს საშუალება აქვთ უფრო ღრმად სწვდებოდნენ თავიანთი კოლექტივების მრავალმხრივ ცხოვრებას, იცნობდნენ ამა თუ იმ უბანზე მუშაობის წარმატებებსა და ხარვეზებს, ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ უკეთ წარმართონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა.

ფოთის რკინიგზის სავაგონო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ ბიუროს წევრად აირჩია აწევითი საამქროს ოსტატი დ. ხოშტარია, რომელიც მუშათა შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. მუშათა კოლექტივის სიყვარული მან დაიმსახურა იმით, რომ იგი მოწინავე აგიტატორი და ნიჭიერი გამომგონებელია, საქმით ამართლებს კომუნისტების ნდობას. საagიტაციო საუბრები, რომლებსაც ამხ. ხოშტარია სისტემატურად აწყობს მევაგონეებთან, ხელს უწყობს საამქროს კოლექტივს საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, უწუნო და უავარიო მუშაობისათვის ბრძოლის ფართოდ გაჩაღებაში.

უნარიანად ახორციელებს სკკპ წესდებით მინიჭებულ უფლებას — კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის კოლმეურნეობის პარტბიურო, რომლის შემადგენლობაში არჩეული არიან საკოლმეურნეო წარმოების მოწინავე ადამიანები — აგრონომი მ. კაპანაძე, ბრიგადირი პ. ეხვაია, წარჩინებული კოლმეურნე ს. ვარტიკიანი და სხვები. პარტბიურო სისტემატურად განიხილავს პრაქტიკული და სამეურნეო საქმიანობის საკითხებს, თავის მუშაობაში მტკიცედ ეყრდნობა კომუნისტებს, მოწინავე კოლმეურნეებს.

მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე პარტიული ძალების სწორად განაწილებამ, მუშაობაში კოლექტიურობის ლენინური პრინციპების მტკიცედ დაცვამ უზრუნველყო აღნიშნული კოლმეურნეობის წარმატებანი. გადაჭარბებით შესრულდა თამბაქოსა და სიმინდის მოსავლიანობის გეგმები გასულ წელს, თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებაში. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით პარტბიუროს კიდევ უფრო გააცხოველა მუშაობა აგიტპუნქტში სამუშაოდ დამატებით არიან გამოყოფილი აგიტატორები, საგრძნობლად გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებიდან კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, რომლებიც მკაფიოდ მოწმობენ პარტიული ბიუროების კარგ მუშაობას.

ამავე დროს ჯერ კიდევ ცოტა როდია იმის მაგალითები, როცა პარტიული ბიუროს წევრები არ მუშაობენ კოლეგიალურად, არ იგრძნობა პარტბიუროს, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელის, დამრაზმველი როლი. გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ პარტორგანიზაციებში პოლიტიკური მუშაობა ჩამორჩება და ამის შედეგად წარმოების თუ კოლმეურნეობის სამეურნეო მაჩვენებლებიც არასახარბიელოა. სწორედ ასეთი მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში. პარტბიუროს მდივანი ი. მაისურაძე ერთპიროვნულად წყვეტს საკითხებს. პარტბიუროს წევრთა შორის აქამდე არ არის განაწილებული მოვალეობანი. პარტბიუროს წევრმა ს. რეხვიაშვილმა დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდა, რომ მას საagიტაციო-მასობრივი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული. ამავე დროს კი კოლმეურნეობაში ჩაშლილია პოლიტიკური აგიტაცია. მეოთხე ბრიგადაში აგიტატორად პარტბიუროს წევრი ი. ლობჟანიძეა გამოყოფილი, მაგრამ იგი კოლმეურნეებთან იშვიათად აწყობს საუბრებს. უკვე რამდენიმე თვეა არ გამოსულა კოლმეურნეობის კედლის გაზეთი. პარტბიუროს ნაკლებად ზრუნავს მეცხოველეობის მუშაკთა შორის მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის. ამითაც აიხსნება ის, რომ უკანასკნელ თვეებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფერმაში საგრძნობლად იკლო წველადობამ.

არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი სუსტად მუშაობს პარტბიუროს წევრებთან, არ იზიდავს მათ აქტიურ პარტიულ საქმიანობაში. ასე იქცევა, მაგალითად, ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ვ. ჯინჭველაძე. აღნიშნული კოლმეურნეობის პარტბიუროს შემადგენლობაში მოწინავე, შრომისმოყვარე კოლმეურნეები არიან არჩეული. მაგრამ პარტბიუროს მდივანი ნაკლებად ეხმარება მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, პარტიული მუშაობის ჩვევებისა და გამოცდილების შეძენაში. ესეც არის იმის მიზეზი, რომ პარტბიუროს წევრები მოწყდნენ პარტიულ ცხოვრებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან პარტბიურო კომუნისტებს მხოლოდ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აბარებს ანგარიშს, ხოლო მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოახსენებს მათ პარტიული მუშაობის ამა თუ იმ უბანზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს იწვევს პარტბიუროს საქმიანობისადმი პარტიული მასების მხრივ კონტროლის შესუსტებას, ადუნებს პარტბიუროს წევრთა პასუხისმგებლობას. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა პარტბიურო სისტემატურად აბარებდეს ანგარიშს კომუნისტებს მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, იბრძოდეს კომუნისტთა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

ყოველი პარტბიუროს ამოცანაა ყოველდღიურად განამტკიცოს კავშირი მასებთან, დაუცხრომლად აწარმოოს საagიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა მშრომელთა შორის პარტიის მოწოდებათა და გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, უზრუნველყოს პარტიაში ახალ წევრთა მიზიდვა და მათი პოლიტიკური აღზრდა, მოაწყოს კომუნისტთა პოლიტიკური განთლება და ამ საქმისადმი ქმედითი კონტროლი, დარაზმოს მშრომელები საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, სისტემატურად იზრუნოს მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ყოველდღიური დახმარება გაუწიოს კომკავშირს.

პარტიული ორგანიზაციის, საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული პარტბიუროს წევრთა შორის დავალებათა მოფიქრებულად განაწილებაზე, მათს აქტივობასა და ინიციატივაზე. მთელი პარტიული მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი უზრუნველყოფდეს პარტბიუროს წევრების, მთელი პარტიული მასის თვითმოქმედების განუხრელ ზრდას, თვითეული კომუნისტის ცოცხალ, აქტიურ მონაწილეობას პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობაში.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან დაუცხრომლად იმუშაონ იმისათვის, რომ პარტბიურო ნამდვილად წარმოადგენდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ შტაბს, რომელიც დარაზმავს კომუნისტებს, მშრომელებს პარტიის XX ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ხალხსა და ბულგარელ ხალხს შორის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი

19 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა შორის მეგობრობას.

მიტინგის გახსნისას მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი მხურვალედ მიესალმა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ანტონ იუგოვს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ტოდორ ჟივკოვს, მთავრობის დელეგაციის წევრებს და მათი სახით მთელ ბულგარელ ხალხს. შესრულებულ იქნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები.

მოსკოვის მშრომელთა სახელით მოძმე ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებს გულითადად მიესალმა ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის მუშა ე. ი. სმირნოვა. მან სთხოვა ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის წევრებს ძმური სალამი გადასცენ ბულგარეთის მუშებს მოსკოვის მუშებისაგან.

შემდეგ გამოვიდა მოსკოვის მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტი ი. ი. რილოვი. მან ილაპარაკა იმაზე, რომ მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ახალგაზრდობის კავშირი, იმაზე, თუ რა მტკიცე ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ საბჭოთა სტუდენტები და ბულგარეთის სტუდენტები, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ.

საბჭოთა ინტელიგენციისა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა სახელით სტუმრებს მხურვალედ მიესალმა „ტროიხგორნაია მანუფაქტურის“ კომბინატის ინჟინერი ა. მ. დორონოვი.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ... ბულგანინის გამოსვლას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონ იუგოვმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მხურვალედ შეხვდნენ აგრეთვე ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტოდორ ჟივკოვისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებს. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

მესამე ადგილი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივი გასული წლის მეოთხე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლების შედეგად სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გამოვიდა და ფულადი ჯილდო დაიმსახურა.

ახალი ადმინისტრაციული სახლი

ბაბრა. (საკ. კორ.). ამას წინათ აქ დამთავრდა გაგრის მტს-ის ახალი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. კეთილმოწყობილ ორსართულიან სახლში მოთავსდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექცია, სადისპეტჩერო, პარტბიურო, წითელი კუთხე. მოეწყო კლუბი, აგრეთვე ბუფეტი მექანიზატორებისათვის.

ახლო ხანში გათვალისწინებულია მტს-ის ეზოს გამწვანება და კეთილმოწყობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე ხარატი გ. გოგელაშვილი. იგი დავალებებს 120-150 პროცენტით ასრულებს. სურათზე: გ. გოგელაშვილი მუშაობის დროს. ფოტო გ. გიორგაძისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ -ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს საოქტომბრო შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებას. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ზეინკალი შ. კენჩხაძე და ხარატი კ. ალიაბა. ისინი დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. სურათზე: ზეინკალი შ. კენჩხაძე (მარჯვნივ) და ხარატი კ. ალიაბა.

★ ★

ტყვარჩელელ რკინიგზელთა წარმატებები

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). მიმდინარე წლის დამდეგიდანვე ტყვარჩელელმა მეშახტეებმა ფართოდ გაიჩაღეს ბრძოლა მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის მოპოვებისათვის. ქვანახშირის ამოღების ზრდამ პასუხსაგები ამოცანები დააყენა რკინიგზელთა წინაშე. რკინიგზელებმა, რომლებიც საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, დარაზმეს თავიანთი რიგები აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის, ტვირთზიდვის გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ტყვარჩელელმა რკინიგზელებმა იანვარში გეგმის გადამეტებით დატვირთეს 217 ვაგონი და ზეგეგმით გადაზიდეს 5.956 ტონა ქვანახშირი. რკინიგზელებმა კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს თებერვლის პირველ ნახევარშიც.

28 იანვრიდან ტყვარჩელის ხაზზე მუშაობს ელმავალი. კარგი მაჩვენებლები აქვს ელმავლის მემანქანეს მძიმეწონასან ალექსანდრე ტურტიანცს. მან იანვრის პირველი რიცხვებიდან დღემდე დავალების გადამეტებით გადაზიდა 4.200 ტონა ქვანახშირი.

ენერგიულად მუშაობს აგრეთვე სამანევრო ორთქლმავლის მემანქანე ქიშვარდი ტყებუჩავა. იგი ცვლაში ორი შემადგენლობის შედგენას ასწრებს. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს სადგურის მორიგემ იონა შამუგიამ, შემდგენელმა ვლადიმერ ალანიამ, გადამბმელმა თეოდორე კარავანსკიმ.

რკინიგზის კვეზანის სადგურში ყოველდღე გეგმის გადამეტებით იტვირთება 652 ტონა ქვანახშირი. ტყვარჩელელი რკინიგზელები ენერგიულად იბრძვიან საოქტომბრო ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის.

პირველი შედეგები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ წითელწყაროელთა მიმართვამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სოფელ შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებში.

წითელწყაროელთა მაგალითისამებრ შამგონელმა კოლმეურნეებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და გააჩაღეს ენერგიული მზადება საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს 20 ჰექტარი ყამირი მიწის ათვისება, მინდვრად გააქვთ ნაკელი, გაჰყავთ წყალსაწრეტი არხები და სხვ.

შამგონელი მეჩაიეები როდი ჩამორჩებიან მესიმინდეებს. ჩაის პლანტაციებში მიმდინარეობს სადრენაჟო არხების გაწმენდა, ჩაის ბუჩქები გადაბარულია 30 ჰექტარზე, შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები.

აქ დიდი პატივისცემით სარგებლობს თხილის კულტურა. შარშან მარტო თხილიდან კოლმეურნეობამ 700 ათასი მანეთი მიიღო. ეს კი სტიმულს აძლევს კოლმეურნეებს, რომ კარგად მოუვარონ თხილის ნარგავებს. ამჟამად მიმდინარეობს თხილის პლანტაციების შემოკავება, გასხვლა, საწრეტი არხების გაყვანა, შემობარვა.

შამგონელ კოლმეურნეებს შარშან თვითეულ შრომადღეზე ერგოთ 20 მანეთი და 2 კილოგრამი სიმინდი. წელს კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს შრომადღეზე გასცეს 30 მანეთი და 4 კილოგრამი სიმინდი.

დაწყებული მუშაობა იმის თავლბია, რომ შამგონელი კოლმეურნეები პირობას გაანაღდებენ.

თესვა დაიწყო

ბორი. (საკ. კორ.). მზიანი, თბილი დღეებია. მინდვრად სამუშაოდ გავიდნენ ტრაქტორები. საგაზაფხულო ხორბლის შერჩევით თესვას პირველი შეუდგა სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვება“.

ამ კოლმეურნეობაში თესვაზე მუშაობს გორის მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც დ. თედიაშვილი ხელმძღვანელობს. ტრაქტორისტები გ. ბიბილაშვილი და ა. ბუდედაშვილი თესვის დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ. უკვე დათესილია 100 ჰექტარზე მეტი.

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში შეუდგნენ შერჩევით თესვას. სტალინირის რაიონის სოფელ არცევის მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დათესა 18 ჰექტარი ქერი და გაზაფხულის ხორბალი. ამავე კოლმეურნეობაში ქსუისის მტს-ის მექანიზატორებმა ჩ. ოჭროპირიძემ, ვ. ვალიევმა და კუდუხოვმა მოხნეს 70 ჰექტარი.

პირველი ათეული ჰექტარები მოიხნა და დაითესა აგრეთვე ამავე რაიონის წინაგრის კალინინის სახელობის, ახმაჯის და აბრევის, ზნაურის რაიონის ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობებში.

თესვის წინ კოლმეურნეებს ნაკვეთებში შეაქვთ მინერალური სასუქები. კიდევ რამდენიმე დღე, და კოლმეურნეობებში ხვნა-თესვა მასობრივად გაჩაღდება.

კომკავშირელები ზრუნავენ თავიანთი ქალაქის კეთილმოწყობისათვის

გუდაუთა. (საკ. კორ.). ყოველწლიურად უმჯობესდება კურორტი გუდაუთა. შენდება ჯანმრთელობის კერების ახალი კორპუსები, ლამაზდება პარკები და სკვერები, ქუჩები იფარება ასფალტით, ირგვება მარადმწვანე დეკორაციული მცენარეები.

გუდაუთის კეთილმოწყობის საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომკავშირელები. ამ დღეებში ქალაქის კომკავშირელთა ინიციატივით მოეწყო შაბათობა ორჯონიკიძის ქუჩის გამწვანებისათვის. ახალგაზრდები ტვირთავდნენ მიწით მანქანებს, თხრიდნენ ორმოებს და რგავდნენ მცენარეებს.

შაბათობაში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის რაიკომის მუშაკებმა, გუდაუთის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, რაიონული სამრეწველო კომბინატის, კავშირგაბმულობის განყოფილების, პირველი საშუალო სკოლის, რაიაღმასკომის, სანატორიუმ „ვოლგას“ და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ახალგაზრდობამ.

ახლო მომავალში გუდაუთელი კომკავშირელები შეუდგებიან ლესელიძისა და კომკავშირის ქუჩების გამწვანებას, აგრეთვე დაეხმარებიან საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაზონების კეთილმოწყობაში ახალი საზაფხულო კინოთეატრის წინ, რომლის მშენებლობა ახლო მომავალში დამთავრდება.

სტუდენტი მარგანეცის სანგრევიდან

„შრომას თუ ცოდნა არ ახლავს, უნაყოფოა, ჩვენი ბედნიერება შეუძლებელია, თუ სხვებიც ბედნიერნი არ არიან... ვისწავლოთ და ვიმუშაოთ, ვიმდეროთ და შევიყვაროთ ერთმანეთი, სამოთხე დამყარდება დედამიწაზე“...

უნებლიეთ გახსენდება ეს გაბედული და ხალისიანი სიტყვები ფრანგული სიმღერისა, რომელსაც მღერის ნ. ჩერნიშევსკის ერთ-ერთი გმირი განაქმულ რომანში „რა ვაკეთოთ?“, გახსენდება, რადგან ეს სიტყვები ახლა განსაკუთრებით მძლავრად ჟღერს. ქვემოთ ჩვენ სწორედ შემოქმედებითს შრომასა და ბედნიერ სწავლაზე გვექნება საუბარი.

* * *

აგვისტო მეტად მცხუნვარეა ქიათურაში. პაპანაქებას უფრო აძლიერებდა მისაღები გამოცდებით გამოწვეული მღელვარება. იმ წელსაც დიდი კონკურსი იყო. მაღაროელები გამოცდებს აბარებდნენ საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ისინი გულმოდგინედ მეცადინეობდნენ და კარგ ნიშნებსაც იღებდნენ.

გამომცდელთა ყურადღება პირველი დღეებიდანვე მიიპყრო ბრგე, მხარბეჭიანმა ვაჟკაცმა. მას ეტყობოდა იმ წელს არ უნდა ჰქონოდა დამთავრებული საშუალო სკოლა, მაგრამ პედაგოგები გაკვირვა განსაკუთრებული მეხსიერებითა და მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით. იგი თანაბარი სიძლიერით ერკვეოდა მათემატიკის რთულ ფორმულებსა და ფიზიკის კანონებში, ქიმიურ მოვლენებსა და ისტორიულ ამბებში, გეომეტრიასა და ქართულ კლასიკურ მწერლობაში. სიტყვამ მოიტანა და აქვე დავძენთ, მან ზეპირად იცის შოთა რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას პოემებისა და ლექსების ბევრი ადგილი.

დამთავრდა გამოცდები. მიმღებმა კომისიამ იგი ერთხმად ჩარიცხა მადნეულ საბადოთა დამუშავების ფაკულტეტის სტუდენტად. იგი სახელმოხვეჭილი მაღაროელი პავლე მირიტაძე იყო.

პავლეს ეჭვი არ ეპარებოდა მიღებაში, რადგან „ოთხზე“ ნაკლები შეფასება არც ერთ საგანში არ ჰქონდა. მაგრამ გული რომ დაეჯერებინა, ერთ საღამოს მაინც გაიარა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში, სადაც ინსტიტუტში ჩარიცხულთა სია იყო გამოკრული. თბილისიდან ჩამოსულ ლექტორთა ყურადღება კვლავ ჰ. მირიტაძემ მიიქცია. მას მკერდზე ოთხი ორდენი (მათ შორის ლენინის ორი ორდენი) და ორი მედალი უბრწყინავდა. სახელგანთქმულ მაღაროელს სტუდენტობა მიულოცეს, მისი მუშაობით დაინტერესდნენ.

— შრომა ბავშვობიდანვე მიყვარდა, — თქვა პავლემ, — ადამიანი თუ შრომას თაკილობს, მისგან სიხეირო არაფერი გამოვა. შრომა ხომ ყველა სიხარულის წყარო და შემოქმედებაა. შრომა და შრომისმოყვარეობა აკეთილშობილებს ადამიანს. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, — განაგრძო პავლემ, — გადავწყვიტე მაღაროში წავსულიყავი. მნგრეველად დავიწყე მუშობა. გულახდილად ვიტყვი: არც წამიგია. ახლაც მნგრეველ-ამწენად ვმუშაობ და დავალებას ორმაგად ვასრულებ, თვეში 3.000 მანეთზე მეტ ხელფასს ვიღებ. ამას წინათ იანგარიშეს და გამოირკვა, რომ თურმე მარტო მე (კვეხნად ნუ ჩამითვლით) წლიურად იმდენი მარგანეცი გამომაქვს, რამდენიც უდღეურმა მეშვიდეკებმა გამოიღეს მთელ 1920 წელს.

კარგი საქმე არ იკარგება. მას ხალხი, მთავრობა, პარტია აფასებს. როგორც ხედავთ, მაღალი ჯილდოებით აღნიშნეს ჩემი შრომა. პატიოსანი შრომით საუცხოო ბინა და საოჯახო ნივთები შევიძინე. ჩემი ორი გოგონა სკოლაში სწავლობს. როცა ისინი მეცადინეობას მორჩებიან და მეც ვისვენებ, მაშინ პიანინოს მიუსხდებიან და მუსიკით ვერთობით. ახლა ვცდილობ შრომასთან ერთად არც სწავლაში შევირცხვინო თავი, — დაამთავრა საუბარი წარჩინებულმა მაღაროელმა.

და მართლაც, მირიტაძე ბეჯითი სტუდენტია. იგი უკვე მეხუთე კურსზეა და ყველა საგანი წარმატებით აქვს ჩაბარებული, ერთნაირად შეუპოვარია სანგრევშიც და სწავლაშიც. მისთვის უცხო არ არის ინტეგრალური და დიფერენციული აღრიცხვა, საბადოთა დამუშავების სისტემები თუ მასალათა გამძლეობა, მაღაროს გამაგრება თუ მექანიზაცია-ავტომატიზაცია.

თეორიულად მიღებულ ცოდნას პავლე მირიტაძე პრაქტიკულად იყენებს. იმ სანგრევებში, სადაც პავლე მუშაობს, ზედმეტიც კია უბნის გამის თუ ცვლის უფროსის, მარქშეიდერის თუ გეოლოგის მისვლა. იგი საუცხოოდ ერკვევა მადნის ფენის თავისებურებებშიც, სანგრევის მიმართულებაშიც, ქერის გართვაშიც, გამაგრების პასპორტშიც.

კიდევ ერთი წლის დაძაბული, გულმოდგინე სწავლა, და ჰ. მირიტაძე სამთო ინჟინერის დიპლომს მიიღებს.

* * *

ქიათურაში არაერთი წერილი და დეპეშა მოდის. ტყვარჩელიდან თუ კასპიდან, დაშქესანიდან თუ ჩვენი ქვეყნის სხვა უფრო შორეული სამრეწველო ცენტრებიდან სასწრაფოდ ითხოვენ საჰაერო-საბაგირო გზების ნახაზებს ან იწვევენ ინჟინერ გ. ფანცულაიას. ქიათურაც მეგობრულ ხელს უწვდის მოძმე საწარმოებს. ეხმარება მათ ადამიანებით, გამაცდილებით. ქიათურას საჰაერო-საბაგირო გზების ქალაქსაც ეძახიან და ბუნებრივია, რომ აქ ამ საქმის კარგი სპეციალისტები არიან. მათ შორის ერთ-ერთი პირველია გ. ფანცულაია, რომელიც დიდი ხანია მარგანტრუსტის საპროექტო განყოფილებას უძღვება. იგი ნიჭიერი ინჟინერი და გამომგონებელ - რაციონალიზატორია. ამხ. ფანცულაია მოდამ ახლის, პროგრესულის ძიებაშია და ძალიან ხშირად კიდეც აღწევს პრობლემის სწორ გადაწყვეტას. მისი პროექტით არაერთი საჰაერო-საბაგირო გზა გაკეთებულა, მაგრამ ერთხელ კიდევ უნდა ითქვას ქიათურა-პერევისის საჰაერო-სამგზავრო საბაგირო გზის შესახებ, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში და უნაკლოდ მუშაობს.

გ. ფანცულაია 12 გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მათი განხორციელებით სამშობლომ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია მიიღო. ბოლო ხანებში მან გამოიგონა ერთბაგირიანი კიუბელი. ფანცულაიას კონსტრუქციის კიუბელის (საბაგირო გზის ვაგონეტი) განტვირთვა ხდება სასურველ ადგილზე და ავტომატურად. დოკუმენტში, რომელიც გ. ფანცულაიამ ამ გამოგონების გამო მოსკოვიდან მიიღო, ჯკითხულობთ: „ამ გამოგონების მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ ცვლაში თავისუფლდება ერთი კაცი, არის აგრეთვე მისი უსაშიშრო მუშაობა, რადგან კიუბელი ამწეს ქვეშ, სადაც გამოყენებულია ინჟ. ფანცულაიას კონსტრუქციის კიუბელი, საჭირო არ არის იდგეს მუშა“.

საბჭოთა კავშირში ამ უკანასკნელ წლებში აგებულ ქანქარისებრ საბაგირო-საჰაერო გზებზე ფართოდ იყენებენ ინჟინერ ფანცულაიას კონსტრუქციის ვაგონების ავტომატურად გამცლელებს.

ამჟამად ამხ. ფანცულაია მუშაობს ისეთი საბაგირო გზის პროექტის შექმნაზე, რომლის წარმადობა საათში 200 ტონა იქნება. მასზე გამოიყენებენ რვა ტონის ტვირთამწეობის ვაგონს, რომლიდანაც ტვირთი ავტომატურად გადაიცლება და ავტომატურადვე დაიკეტება კარი.

საჰაერო-საბაგირო გზების გამოჩენილმა სპეციალისტმა, პროფესორმა ა. დუკელსკიმ, რომლის შრომებში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ინჟინერ ფანცულაიას კონსტრუქციის საბაგირო გზების მოწყობილობათა აღწერას, დადებითი შეფასება მისცა ფანცულაიას პროექტს და აღნიშნა, რომ იგი პროგრესული და ახალია საბაგირო გზების ტექნიკაში.

გ. ფანცულაიამაც დაუსწრებელი, წარმოებას მოუწყვეტელი სწავლით მიიღო ინჟინრის დიპლომი. და განა ერთეულია ქიათურაში ასეთი შემთხვევა?

ჯ. ჭიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ა. წ. 22 თებერვალს დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობა.

ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს: 21 თებერვალს 12 საათიდან 24 საათამდე; 22 თებერვალს დილის 9 საათიდან 12 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, I სართული, ოთახი № 1, ტელეფონები: 3-74-23, 5-02-80.

მტს-ი მოუმზადებელი ხვდება საგაზაფხულო სამუშაოებს

მტს-ების ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება, პირუტყვის სულადობის ზრდა და მისი პროდუქტიულობის ამაღლება, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვა, კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

როგორ ასრულებს ამ ამოცანებს ზესტაფონის მტს-ი? სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებლად.

გასული სამეურნეო წელი რაიონის კოლმეურნეობებში სამარცხვინო მაჩვენებლებით დამთავრდა. რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 25,6 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა, 6,7 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 10 ცენტნერისა. ყოველწლიურად მცირდება ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა. მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები დაბალ მოსავლიანობას არახელსაყრელი კლიმატური პირობებით ხსნიან. ეს სწორი არ არის. მოწინავე პრაქტიკის მიღწევებმა დაადასტურა, რომ სადაც ყველა სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალი ხარისხით შესრულეს, ფართოდ გამოიყენეს მეცნიერების მიღწევები, იქ წარმატებებსაც მიაღწიეს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სოფელ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. ჯუღელი) შარშან საშუალოდ ჰექტარზე 12,3 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ხოლო მისმა მეზობელმა სოფელ პირველი სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ცხადაძე) მხოლოდ 3,5 ცენტნერი.

სოფელ ტაბაკინის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. ბარბაქაძე) საშუალოდ ჰექტარზე 16,4 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, სოფელ ძირულის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობამ კი — 1,7 ცენტნერი.

გასული წლის დაბალი მოსავლიანობის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ არ დაიცვეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკა. სიმინდის თესვა რაიონის კოლმეურნეობებში ივნისის ბოლო რიცხვებამდე გაჭიანურეს, ნაცვლად იმისა, რომ 5-10 მაისისათვის დაემთავრებინათ. მტს-მა წიადაგი საგაზაფხულოდ 465 ჰექტარზე ივნისში მოხნა. სიმინდის კულტივაცია ნაცვლად 1.200 ჰექტარისა 635 ჰექტარზე ჩაატარა. საკმაო რაოდენობით არ შეუტანიათ ორგანული სასუქები და არ უზრუნიათ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის.

1951 წელთან შედარებით მსხმოიარე ვენახის ფართობი 617,2 ჰექტარით შემცირდა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმეშია.

გაჭიანურდა სიმინდის მოსავლის აღება, რამაც გამოიწვია სიმინდის და ჩალის დიდი დანაკარგები. არ შესრულებულა უხეში და კონცენტრირებული საკვების დაგროვების გეგმა. პირუტყვის გამოზამთრება საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და 4 მილიონამდე მანეთი იხარჯება საკვების შესაძენად.

მტს-ი ჯეროვან ხელმძღვანელობას და დახმარებას ვერ უწევს კოლმეურნეობებს შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებაში. შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გამომუშავებას სათანადო ყურადღება არ ექცევა კვალითის მოლოტოვის სახელობის, როდინოულის ბუდიონის სახელობის, ბოსლევის ხრუშჩოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

არადამაკმაყოფილებლად არის საქმე თესვისათვის მზადების მხრივ. წელს რაიონში საგაზაფხულო კულტურები უნდა დაითესოს 5.280 ჰექტარი, გაშენდეს 160 ჰექტარი ვენახი, აღდგენილ იქნას 525 ჰექტარი დაღუპული ვენახები. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს საგაზაფხულო სამუშაოთა სწორად დაგეგმვას, არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას.

მტს-ის სატრაქტორო პარკი მოძველებულია და ახალი მანქანებით შევსება ესაჭიროება. რაიონში 1.345 უღელი ხარი ჰყავთ. დიდი ნაწილი დასუსტებულია. მთის კოლმეურნეობებში, სადაც მექანიზაციის გამოყენება შეუძლებელია, არსებული ცოცხალი გამწევი ძალა ვერ უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას. მაგალითად, სოფელ პირველი მაისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ სულ ხარზე დასამუშავებლად მოდის 14 ჰექტარზე მეტი. ანალოგიური მდგომარეობაა ბოსლევის ხრუშჩოვის სახელობის და ძირულის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ნელი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი და თესლის მომზადება. სიმინდის თესლის დიდი ნაწილი ტენიანია და თუ ახლავე არ მიიღეს სასწრაფო ზომები, მას დალპობა მოელის.

სოფელ ქვედა საქარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დაავადებულია 63 ცენტნერი სიმინდის თესლი, კვალითის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში—18 ცენტნერი, როდინოულის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში 23 ცენტნერ სიმინდის თესლს აღმოცენების უნარი არა აქვს.

შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს ვენახის რიგთამორის დამუშავება, ნაკელის გატანა, შპალერის რემონტი და სავენახე მიწის პლანტაჟის მომზადება. ცუდი მდგომარეობაა მტს-ის სამანქანო პარკის მოვლა-პატრონობისა და შენახვის მხრივ. მტს-ის კარმიდამოში და ზოგიერთი კოლმეურნეობის ტერიტორიაზე უპატრონოდ ყრია და იჟანგება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი ზესტაფონის მტს-ის ზონაში ამხ. დ. გურული საკმაო ორგანიზატორულ მუშაობას არ ეწევა მასებში, დიდ დროს ანდომებს სასხდომო ფუსფუსს, არასაჭირო ცნობების შეგროვებას, ანგარიშებისა და მოხსენებითი ბარათების შედგენას, სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევს ინსტრუქტორთა ჯგუფს. ამის გამო ინსტრუქტორები მოქნილად ვერ ეწევიან პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მტს-მა (დირექტორი მ. ბარბაქაძე) სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრან მათს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და მკვეთრად გაუმჯობესონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება.

გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თელავის აბრეშუმის ძაფსადები ფაბრიკის ძაფის ამომხვევმა ბ. კუპრაშვილმა ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად იკისრა მნიშვნელოვნად აამაღლოს პროდუქციის ხარისხი და ნაცვლად 65 პროცენტისა 85 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვას, ამავე დროს დაზოგოს 2 პროცენტი ნედლეული. ამ ვალდებულებას იგი წარმატებით ასრულებს. სურათზე: ბ. კუპრაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

★

სასკოლო სახელოსნო

ცხაკაია. (საკ. კორ.). ძველი სენაკის საშუალო სკოლა ერთ-ერთი უძველესია რაიონში. მოსწავლეებს აქ შექმნილი აქვთ საჭირო პირობები სწავლისათვის. მოეწყო სახელოსნო, რაშიც სკოლას დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა საბჭოთა მეურნეობამ და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ.

სახელოსნოს აქვს 3 სადურგლო დაზგა, რომლებზეც ერთდროულად შეუძლია მუშაობა 20 მოსწავლეს. აოის საჭირო მოწყობილობა ძერწვისა და ქსოვილზე მუშაობისათვის.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„პრეტენზიები მტს-ის მიმართ“

გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მე-15 ბრიგადის ხელმძღვანელი დ. მურადაშვილი „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „პრეტენზიები მტს-ის მიმართ“ გამოთქვამდა საყვედურს, რომ კოლმეურნეობას ნაკლებად ეხმარება გორის მტს-ი შრომატევად სამუშაოთა შესრულებაში. კერძოდ, წერილში აღნიშნული იყო, რომ მტს-მა გასულ გაზაფხულზე კოლმეურნეობას მხოლოდ 2,5 ჰექტარი ბაღი მოუხნა, ამიტომ ფართობის დანარჩენი ნაწილი მუშა-პირუტყვით დაამუშავეს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ტადასტურებულად ცნო წერილში მოყვანილი ფაქტები და დასაბ. ლონისძიებანი იმისათვის, რომ მიმდინარე წელს გორის მტს-ის ტექნიკის სრული გამოყენებით მაქსიმალური დახმარება გაეწიოს სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მრავალწლიან ნარგავებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ასამაღლებლად.

მზადდება ადგილობრივი საგზაო-ეგის არჩევნებისათვის

ერთეული მწყემსთა მეგობრული ტრიბუნა

ალბათ ძალიან სასწრაფო საქმე ჰქონდა, თორემ როგორ გაბედავდა მოდიდებულ არაგვში შევარდნას. ერთ წამში ცხენი წყალში დაიმალა, მხოლოდ მხედარი და ცხენის მაღლა აწეული თავი ჩანდა. ზინაიდა რიჟინაშვილს, რომელიც ამ სურათს ამბულატორიის აივნიდან უცქერდა, შიშის ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ზინაიდა ებრძოდა იმავე ტალღებს, ხოლო მისი შეგზური თოკის ბოლოს ჩასჭიდებოდა, რომელიც ცხენის აეშარაზე გამოება. მალე ექიმი ნაპირზე გავიდა. შეუდგნენ მთის ბილიკს, რომელიც თანდათან სულ მაღლა მიიწევდა.

ჩქარობდა ზინაიდა. ჯერ კიდევ გზაში, როცა იალაღებზე მყოფ მწყემსებს შეხვდა და მათ სახეებზე მწუხარება ამოიკითხა, მიხვდა, რომ დაშავებულის გადასარჩენად თვითეული წუთიც საშური იყო.

...ათასნაირი ხიფათით არის სავსე მწყემსის ცხოვრება. აბა რა იცოდა ახალგაზრდა მეცხვარემ სტეფანე აფციაურმა რა ელოდა იმ ბნელ ღამეს, როცა ცხვარი ნადირმა დაიფრთხო.

დიდხანს მისდევდა სტეფანე დამფრთხალ ცხვარს, მზად იყო მთელი ღამე ერბინა, ოღონდ პირუტყვი გადაერჩინა, მაგრამ სიბნელეში ფეხი დაგორებულ ქვას წამოკრა და თავი კლდის ქიმს მიაჯახა. შემდეგ რა მოხდა, აღარ ახსოვს, გათენებისას ამხანაგებმა იპოვნეს გულწასული. მთელი იმედი ახლა მხოლოდ ექიმზე იყო.

ეს მოხდა სამი წლის წინათ. სტეფანე შარშან შემოდგომაზე კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე წავიდა. ეს არის მხოლოდ შუბლის აეშეი პატარა ნაჭრილობევი აჩნია, თორემ სხვა მხრივ ყოველმხრივ ჯანსაღად არის. სტეფანე თავის გადარჩენას ზინაიდა რიჟინაშვილს უმადლის, რომელმაც საუკეთესოდ უწამლა და მოუარა მას. და განა მარტო მას?. გუდამაყრის მთებსა და მთიულეთის ხეობაში ათობით ადამიანი დაიხსნა ზინაიდამ სიკვდილის კლანჭებისაგან.

თვრამეტი წელიწადია, რაც ზინაიდა რიჟინაშვილი ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საპატიო საქმეს ემსახურება. სიყმაწვილეში ქუთაისის ძაფსაღებ ფაბრიკაში მუშაობდა და თან საშუალო სკოლაში სწავლობდა. ბავშვობის ოცნებას 1939 წელს შეესხა ფრთები, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და სამუშაოდ საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი კუთხე — დუშეთის რაიონი აირჩია.

ადვილი როდია მთებში მუშაობა.

იმ დიდი ცვლილებების მიუხედავად, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გუდამაყრის ხეობაში მოხდა, აქ ახლაც საგრძნობია მთიანი მხარისათვის დამახასიათებელი სიძნელეები. რა თქმა უნდა, ყველა სოფელს საავტომობილო გზა არა აქვს. ესეც რომ იყოს, ზაფხულობით გუდამაყრელთა უმრავლესობა მთებში შრომობს, ციცაბო ბილიკებით იქ მისვლა ადამიანისაგან სიმტკიცესა და გამძლეობას მოითხოვს.

ზინაიდა სიძნელეებს არ შეუშინდა. ერთი შეხედვით სუსტმა ქალმა მალე შეისწავლა ცხენოსნობა, ციცაბოებზე სიარული. წელიწადის რა დროც უნდა იყოს, დღე იქნება თუ ღამე, იგი ყოველთვის მზად არის გაიაროს ათობილ კილომეტრი, დაეხმაროს ავადმყოფს.

— ჩვენი ზინა! — ასე უწოდებენ მთიულები მკურნალს და ამაში გასაკვირველი არაფერია, რადგან, როცა საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება, ზინაიდა არ იშურებს თავის ცოდნასა და უნარს.

ზინაიდა რიჟინაშვილის შრომა ღირსეულად დააფასეს. იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სამკერდე ნიშნით „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული“.

აქტიური საზოგადო მუშაკი, ნიჭიერი მკურნალი, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანი — ზინაიდა რიჟინაშვილი გუდამაყრელმა მშრომელებმა სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ეჭვი არ არის, რომ ამ ნდობას იგი გაამართლებს.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია

დიდი და საპატიო ამოცანაა დასახული ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ წინაშე რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციის საქმეში. წელს სოფლის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე დაიხარჯება ათეულ მილიონობით მანეთი, გასულ წელთან შედარებით 30 პროცენტით მეტი.

მიმდინარე წელს განხორციელდება რესპუბლიკის 90 კოლმეურნეობის ელექტროფიკაცია და მექანიზაცია. წარმატებით მიმდინარეობს ათი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

სწრაფი ტემპით წარმოებს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა. ესენია: სიონი-თიანეთის ხაზი, რომელიც უზრუნველყოფს თიანეთის რაიონის მთლიან ელექტროფიკაციას; ბოჭორმა-ახმეტის ხაზი, რომელიც უზრუნველყოფს კახეთის რაიონებს დამატებითი ელექტროენერგიით.

მიმდინარე წელს დამთავრდება და გადაეცემა საექსპლოატაციოდ ელექტროსადგურები „აჭიჰესი“ ქობულეთის რაიონში, „სკურჰესი“ წალენჯიხაში, „ყურძუჰესი“ გეგეჭკორში, „კახარეთჰესი“ ადიგენის რაიონში და სხვ.

დამთავრების პროცესშია გადამცემი მაღალი ძაბვის ხაზის მშენებლობა კახარეთი-ვალე, რომელიც დააკავშირებს კახარეთჰესს საქართველოს ენერგოსისტემასთან.

სოფლის ჰიდროსადგურების მშენებლობის საქმეში კარგ წარმატებას აღწევენ აჭარის, ცხაკაიას და სხვ. სამშენებლო კანტორები.

სასოფლო ჰიდროელექტროსადგურებს მოწყობილობით უზრუნველყოფის საქმეში კარგ დახმარებას უწევს „საქსოფლელექტრომშენის“ ტრესტთან არსებული ელექტრომექანიკური ქარხანა, რომელიც ამზადებს სხვადასხვა მოწყობილობას, როგორიც არის ჰიდროტექნიკური ფარები, ელექტროსაბერველი, სახერხი დაზგები, განმანაწილებელი მოწყობილობა და სხვ.

ქარხანამ გასულ წელს აითვისა და მასობრივად უშვებს ლითონის სატრანსფორმატორო კიოსკებს, რომელთა გამოყენება კოლმეურნეებს 50 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს.

ი. ნუცუბიძე.

არჩევნებისათვის მზადების საკითხი პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი — ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. მოხსენება გააკეთა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ხ. ახალაიამ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს № 3 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ფილიამ, № 26 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის გამგემ ვ. გაბელიამ, საზღვაო ნავსადგურის პარტბიუროს მდივანმა ფ. დომორაცკიმ, № 22 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პ. თოფურიამ და სხვებმა. განხილული საკითხის შესახებ პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ფართო გამოძახილი ჰპოვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მუშებმა და გლეხებმა გაიჩაღეს ბრძოლები კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტიების — ქართველი მენშევიკების, აზერბაიჯანელი მუსავატელებისა და სომეხი დაშნაკების წინააღმდეგ, რომლებმაც, წინააღმდეგ ხალხის ნებისა, ძალით მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასია.

1917 წლის ბოლოსათვის ამიერკავკასიის ნაციონალისტურმა პარტიებმა საბოლოოდ ხელთ იგდეს ძალაუფლება, რის შემდეგ ისინი სულ უფრო და უფრო ააშკარავებენ თავიანთ თავს როგორც კონტრრევოლუციური პარტიები. თუ მანამდე ისინი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, უფრთხილდებოდნენ დემოკრატიულ ნიღაბს, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ აშკარად დგებიან ბურჟუაზიულ-მემამულური კლასების სამსახურში. დაიწყო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების სისხლიანი ბატონობის პერიოდი. ისინი მხეცურად უსწორდებიან მუშებს, გლეხებს, რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს, ბოლშევიკებს.

1918 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა შამქორთან გაიაიარაღეს და დახვრიტეს კავკასიის არმიის რევოლუციური ჯარისკაცები, რომლებიც თურქეთის ფრონტიდან რუსეთში ბრუნდებოდნენ საზავო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ. 8 თებერვალს მენშევიკებმა დახურეს ბოლშევიკური გაზეთები „კავკასსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და „ბანვორი კრიე“. ამავე დღეს დარბეულ და დახურულ იქნა ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის სტამბა. 8 თებერვლის ღამეს დაპატიმრებებიც მოხდა.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა მალე ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს. მათ 10 თებერვალს ალექსანდროვის ბაღში (ამჟამად კომუნარების სახელობის ბაღი) დახვრიტეს რკინიგზის სახელოსნოებისა და თბილისის სხვა წამყვანი დარგის საწარმოთა მუშების მიერ მოწყობილი საპროტესტო მიტინგი. შემდეგში კონტრრევოლუციური პარტიები კიდევ უფრო მკაცრ რეპრესიებს მიმართავდნენ.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების მიერ ბურჟუაზიული კლასობრივი პოლიტიკის გატარებამ და მრავალმა რეპრესიამ გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და საპასუხო გამოსვლები მუშებისა და გლეხების მხრივ. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს რევოლუციური მოძრაობა საქართველოში. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აქ ხშირად ეწყობა გაფიცვები, ძლიერდება საგაფიცვო ბრძოლებში მუშების შეუპოვრობა. მარტო 1918 წლის პირველ ნახევარში საქართველოში მრეწყო მუშათა 60-მდე გაფიცვა და მიტინგი, რომლების მონაწილეთა საერთო რიცხვი რამდენიმე ათეულ ათას კაცს აღწევდა. 1918 წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო იზრდება წინააღმდეგობა მუშებსა და მეწარმეებს შორის.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა გლეხთა ბრძოლები მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. გლეხები, რომლებიც იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მიწის სივიწროვის მხრივ, როგორც ბატონყმობის დროს, განუწყვეტლივ აწყობდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს. 1918 წლის განმავლობაში საქართველოში გლეხთა 20-ზე მეტი შეიარაღებული გამოსვლა მოხდა. მათ ძირის აღსანიშნავია შეიარაღებული აჯანყებები ლეჩხუმში, ცხინვალში, დუშეთის მაზრაში, საჩხერეში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვ. ზოგიერთ ადგილას აჯანყებულებმა გამოაცხადეს მუშათა და გლეხთა რევოლუციური ხელისუფლება და თვეობით იხარჩუნებდნენ მას.

ჯარის ნაწილებშიც ეწყობოდა გამოსვლები მენშევიკების წინააღმდეგ. მართალია, 1918 წლის ბრძოლები მუშათა და გლეხთა დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მათ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1918 წელს საქართველოში გაშლილი რევოლუციური მოძრაობა ნიშნავდა მენშევიკური რეჟიმის კრიზისს. ამ კრიზისმა მოამზადა პირობები მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მუშებისა და გლეხების უფრო გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

მენშევიკურ მთავრობას სულ უფრო და უფრო ეთხრებოდა ძირი. მან დაკარგა საკუთარი ძალების იმედი. მენშევიკების ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ გერმანიის ჯარები. მაგრამ მალე ისინიც ვერ აღმოჩნდნენ სავსებით საიმედონი მენშევიკებისათვის.

მენშევიკური მთავრობა იძულებული ხდება ორიენტაცია აიღოს ანტანტის ქვეყნებზე — ინგლისსა და საფრანგეთზე. გერმანიის ჯარების გასვლასთან ერთად საქართველოში შემოსვლა იწყეს ინგლისის, შემდეგ იტალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის ჯარებმა.

საბჭოთა რუსეთს ხელოვნურად მოწყვეტილი და „დამოუკიდებლად“ გამოცხადებული საქართველო სავსებით დამოკიდებული აღმოჩნდა ანტანტის სახელმწიფოების იმპერიალისტებზე.

1919 წელს ახალი ძალით გრძელდება მუშებისა და გლეხების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ფაბრიკებსა და ქარხნებში იმართება მუშათა მიტინგები, საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები. მარტო თბილისის საწარმოებში საშუალოდ თვეში მუშათა 3-4 გაფიცვა ეწყობოდა. გაფიცვები და მიტინგები იმართებოდა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ხაშურში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ 1919 წელსაც მუშათა გამოსვლები და გლეხთა აჯანყებები დამარცხებით დამთავრდა, მათ მაინც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ერთი მხრივ ისინი მოსწყვეტდნენ დენიკინის თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ მიმართულ მრისხანე მუქარას ზურგიდან, ხოლო მეორე მხრივ მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ქართველი ხალხის გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისს.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების რამდენიმე ცდა მოხდა 1920 წლის პირველ ნახევარშიც. მაგრამ ეს ცდებიც წარუმატებლად დამთავრდა.

* * *

1920 წლის ბოლოსათვის კიდევ უფრო მძიმე გახდა მენშევიკური მთავრობის სამინაო და საგარეო მდგომარეობა, საქართველო აღმოჩნდა მძიმე ეკონომიური კრიზისის ბრჭყალებში. გამოფიტა, ამოიწურა მთელი ეკონომიური მარაგი, მოიშალა სავაჭრო ბალანსი, საბოლოოდ დაირღვა ქალაქსა და სოფელს შორის წინანდელი შედარებით ნორმალური ურთიერთობა. ნაციონალ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ 1920 წლის 12 ნოემბრის ნომერში აღნიშნავდა, რომ ძირითადი მოხმარების პროდუქტები გაძვირდა 20.000-50.000 პროცენტით; პური, ძაფი, ფეხსაცმელი, შაქარი და სხვ. გაძვირდა 100.000 პროცენტით. მოხდა ქაღალდის ფულის ნიშნების გაუფასურება. საკმარისია ითქვას, რომ 1920 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს მენშევიკური მთავრობა ყოველთვიურად 9 მილიარდამდე მანეთ ქაღალდის ფულს უშვებდა.

მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ გამოიწვია რევოლუციის ბაზის გაფართოება, მუშებისა და გლეხების უკმაყოფილების ახალი ტალღა. უკვე 1920 წლის ოქტომბრიდან წინა თვეებთან შედარებით საგრძნობლად იმატა მუშათა გაფიცვებმა და მათში მონაწილეთა რაოდენობამ. ეწყობოდა საიდუმლო კრებები და მიტინგები. მიუხედავად რეპრესიებისა, საქართველოს მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს ოქტომბრის რევოლუციის 3 წლისთავი. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გაიმართა კრებები, რომლებზეც იღებდნენ მისასალმებელ წერილებს საბჭოთა რუსეთისა და ვ. ი. ლენინისადმი.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ 1920 წლის 29 ნოემბერს. „დარჩა მარტო ქართველი ხალხი, რომელიც ყოველმხრივ გარშემორტყმულია მტრებით“, — ასე შეაფასეს მენშევიკური მთავრობის ლიდერებმა მშრომელი სომეხი ხალხის მიერ ბრძოლით მოპოვებული ისტორიული გამარჯვების ფაქტი.

1920 წლის შემოდგომაზე მენშევიკურმა მთავრობამ გამოაცხადა ჯარში გასაწვევად 12 ასაკის მობილიზაცია, რამაც ისედაც განადგურებული გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახადა. საქართველოში გამოცხადებული მობილიზაციის მიზეზების შესახებ ს. მ. კიროვის შეკითხვის პასუხად მენშევიკურმა მთავრობამ განაცხადა, რომ მან მობილიზაცია მოახდინა მხოლოდ და მხოლოდ თავისი საზღვრების უზრუნველყოფის მიზნით. საერთოდ კი მას სურს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდეს ყველასთანო.

ცხადი იყო, რომ მენშევიკური მთავრობის მიერ „საზღვრების დაცვის მიზნით“ მობილიზაციის გამოცხადება იყო მხოლოდ საფარველი, რომლითაც იგი ცდილობდა დაემალა ქვეყნის შიგნით რევოლუციური ძალების დათრგუნვისა და ხელსაყრელ მომენტში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ვერაგული გეგმები.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თავისი ვერაგული გეგმების შესასრულებლად სავსებით საიმედო ძალას მენშევიკური მთავრობისათვის არც მისი ჯარი წარმოადგენდა. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად ხშირი იყო დეზერტირობის შემთხვევები მთავრობის ჯარების ოფიცრებსა და ჯარისკაცებში. 1920 წლის ბოლოს რეგულარულ ნაწილებში, როგორც საეჭვო პირები, განაიარაღეს, სამხედრო ტანსაცმელი გახადეს და შახტებში გაგზავნეს 1.000 ჯარისკაცი.

ვერც მენშევიკური მთავრობის ხანგრძლივი მეცადინეობით შექმნილი საბალნო გვარდია ამართლებდა იმედებს, თუმცა კი იგი მთავრობის მთავარ დასაყრდენ ძალად ითვლებოდა.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ასეთი მძიმე ვითარების დღეებში „დახმარების“ ხელი გაუწოდეს ინგლისელებმა. 1920 წლის დეკემბერში ინგლისის მთავრობამ საქართველოს მთავრობას შესთავაზა თავისი იარაღი, ტანსაცმელი, ფული და ყველაფერი, რაც საჭირო იქნებოდა არმიისათვის სრული მობილიზაციის შემთხვევაში. ამ დახმარებას ინგლისის მთავრობა საქართველოს ჰპირდებოდა სრულიად უმოკლეს დროში. ამიტომ მენშევიკური მთავრობა მარტოდ არ გრძნობდა თავს მოახლოებული რევოლუციური ქარიშხლის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ატყობდა, რომ მისი დამარცხების შანსები სულ უფრო და უფრო მატულობდა.

მენშევიკების სამი წლის ბატონობის შედეგად საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ამომწურავი შეფასება მისცა ი. ბ. სტალინმა გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელთან საუბარში 1920 წლის ნოემბრის ბოლოს. ი. ბ. სტალინმა განაცხადა: „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუ-

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

როგორ ვაღწევ წარმატებას

სამი წელი სრულდება, რაც ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის შასის საამქროში ვმუშაობ. ქარხანაში მოსვლისთანავე მონდომებით შევუდექი ხარატობის შესწავლას. უბნის ოსტატის ნესტორ შვანგირაძისა და ამწყობის გივი მაღლაფერიძის დახმარებით ხარატობა ოც დღეში ავითვისე, მალე ისე დავეუფლე პროფესიას, რომ ბევრ შემთხვევაში ამწყობის დახმარებაც აღარ მჭირდებოდა.

ხ. ხვედელიძე.

ორი თვის შემდეგ ისეთი რთული დეტალების მოხარატება მომანდეს, როგორიც არის უკანა ხიდის მორგვი და დოლი, რედუქტორისა და საკისრების ქანჩები, მილისები და სხვ. ამ დეტალებზე ყველა ოპერაცია რომ შემესრულებინა, საჭირო იყო სხვა პროფესიის დაუფლება. ასეც მოვიქეცი.

* * *

მბურღავის, ხრახნმჭრელის და მხეხავის სპეციალობა, რომლებიც თითქმის დამოუკიდებლად ავითვისე, ბევრჯერ ისეთ დროს გამომადგა, როცა უბანს ამ პროფესიის მუშები აკლდა. სწორედ ასეთი შემთხვევის დროს ძირითად სამუშაოსთან ერთად იოლად დავიმორჩილე მრავალშპინდელიანი ვერტიკალური საბურღავი ჩარხი, რომელზეც უკანა ხიდის მორგვის ბურღი გავასწორე.

საწარმოო დავალებათა წარმატებით განაღდებაში მთავარია სამუშაო დროისა და ადგილის რაციონალურად გამოყენება. იგი შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ წინასწარ ვამარაგებ და ჩარხის ახლოს მიწყვია იმდენი დასამუშავებელი დეტალის ნამზადი, რამდენიც სამუშაო დღის ბოლომდე მეყოფა. სრულ წესრიგზე მაქვს და რკინის კარადაში მიწყვია საჭირო სამუშაო იარაღები.

შრომის მოწინავე მეთოდების გასაცნობად გასული წლის მარტში ჩვენი ქარხნის სხვა ამხანაგებთან ერთად ვიყავი მინსკისა და ურალის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნებში. იქ მრავალი საინტერესო რამ ვნახეთ, შევისწავლეთ მოწინავეთა შრომის მეთოდები, რომლებიც შემდეგ გადმოვიღეთ და ჩვენს სამუშაო უბნებზე დავნერგეთ. ჩემზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო და საიარაღო საამქროების გამართულმა და თითქმის უწუნო მუშაობამ. ამან მით უფრო დაგვაინტერესა, რომ ანალოგიური საამქროების მუშაობა ჩვენში ჯერ კიდევ „ვიწრო“ ადგილს წარმოადგენს და დიდად აფერხებს ქარხნის მთელი კოლექტივის საერთო წარმატებას.

ურალისა და მინსკის საავტომობილო ქარხნების ნახვამ, მოწინავე გამოცდილების გაზიარებამ სტიმული მომცა გამეუმჯობესებინა ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესი. უკანა ხიდის მორგვზე ხრახნის მოჭრისას დიდი რაოდენობით იხარჯებოდა ძვირფასი ფოლადის ხრახნსაჭრელები. ჩემი რჩევით ტექნოლოგიურ რუკაში შეტანილ იქნა შესწორება, 0,2 მილიმეტრით გაიზარდა ნახვრეტის დიამეტრი, რითაც შემცირდა ფოლადის ხრახნსაჭრელების ხარჯვა.

საკისრების ბუდის მოხარატების შემდეგ სამარჯვიდან მორგვის ამოსაღებად ჩვენთან პრიმიტიულ ხელსაწყოს ხმარობენ. ჩემი წინადადებით ეს ხელსაწყო უნდა შეიცვალოს პნევმატიკური მომხსნელით, რაც შეამცირებს მორგვის მოხსნის დროს და შეამსუბუქებს მუშის შრომას.

რამდენიმე თვის წინათ საამქროს ხელმძღვანელობამ ამწყობად დამაწინაურა. ეს კოლექტივის წინაშე კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. პრაქტიკულ დახელოვნებასთან ერთად მანქანათმშენებლობის თეორიის საფუძვლების დაუფლებისათვის სისტემატურად ვკითხულობ ტექნიკურ ლიტერატურას, წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ვამთავრებ ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებას.

შრომაში შეძენილ გამოცდილებას სხვებსაც ვუზიარებ. საწარმოში ახალმოსულებს ვეხმარები პროფესიის ათვისებაში, სპეციალობა შევასწავლე ჯ. აბრამიძეს, დ. ზუზაძეს, ო. ჩილაშვილს და სხვებს. ახლა ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ.

ჩაბმული ვარ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველდღიურ ნორმებს 250-300 პროცენტით ვასრულებ.

ს. ხვედელიძე,
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის შასის საამქროს უკანა ხიდის უბნის ამწყობი.

გულთბილი მიწერ-მოწერა

წლითიწლობით ფართოვდება საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსწავლე ახალგაზრდობის ძმური მეგობრული ურთიერთობა. მომძე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სკოლებთან მჭიდრო კავშირი აქვთ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სკოლებსა და მოსწავლეებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს.

უკვე რამდენიმე თვეა მიწერ-მოწერა აქვთ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ დელვინას მშრომელთა ახალგაზრდობის კავშირის რაიკომის მდივანს დაუტ შარას და თბილისის ლენინის რაიონის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანს ზურაბ მახარაძეს. მარშან ოქტომბერში, როდესაც თბილისში იმყოფებოდა ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის ჯგუფი ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტოდი ლიუბონიას ხელმძღვანელობით, დაიწყო მათი ნაცნობობა. მას შემდეგ მეგობრები არ ივიწყებენ ერთმანეთს.

„საქართველოს სსრ, ქალაქი თბილისი, მე-4 საშუალო სკოლა“, — ამ მისამართით მოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ბერნბურგის მეათეკლასელი გოგონას ელფრიდე ნიდერგეზესის წერილი.

„ძალიან მაინტერესებს, როგორ ცხოვრობთ საქართველოში, — წერს ელფრიდე, — რას აკეთებთ თავისუფალ დროს, ძალიან მინდა გავეცნო თქვენი მშობლიური ქალაქის ახალგაზრდობის ბედნიერი ცხოვრების ფაქტებს“.

მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მალე დააკმაყოფილეს გერმანელი მეგობრის ელფრიდეს სურვილი. თავიანთ წერილში მათ მოუთხრეს გოგონას საბჭოთა საქართველოს წარმტაც ბუნებაზე, მის მჩქეფარე ცხოვრებაზე, ახალგაზრდობის თავდადებულ შრომაზე.

გულთბილი მიწერ-მოწერა აქვთ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ქალაქ ბრნოს მე-14 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელებს თბილისელ მეგობრებთან — მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეებთან.

ნ. საბანაძე.

ლექციები სამეცნიერო აზებულების შესახებ

ადიბენი. (საკ. კორ.). აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერი მუშაკები ხშირად კითხულობენ ლექციათ-მოხსენებებს კოლმეურნეობებში, აგრეთვე ობსერვატორიის მუშაობით დაინტერესებული ექსკურსანტებისათვის. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჯაფიაშვილმა სოფელ ბოლაჯურის კოლმეურნეობის წევრებს წაუკითხა მოხსენება „რა ვიცით მთვარის შესახებ“, ხოლო ობსერვატორიაში ექსკურსანტებს — „რა ვიცით მარსის შესახებ“, „როგორ არის აგებული სამყარო“, „როგორ ხდება ასტრონომიული დაკვირვება“.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა თ. მეგრელიშვილმა, ნ. მაღალაშვილმა, თ. რაზმაძემ, ა. ტორონჯაძემ და ობსერვატორიის დირექტორმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ ბენარის, არლის, ადიგენის კოლმეურნეობებში და რაიონულ ცენტრში წაიკითხეს ლექციები „მზე და დედამიწა“, „თანამედროვე ასტრონომიის ძირითადი მიღწევები“, „რას წარმოადგენენ ვარსკვლავები“, „მზის ფიზიკური ბუნება“, „თანამედროვე ასტრონომიული ხელსაწყოები“.

გასულ წელს ასტრონომ მეცნიერთა ძალებით წაკითხულია 50-ზე მეტი ლექცია. წელს კი გათვალისწინებულია 60-ზე მეტი ლექციის წაკითხვა.

კოლონიური ქვეყნების ხალხები იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისათვის

დღეს აღინიშნება კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე.

საუკუნეთა მანძილზე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები იბრძოდნენ თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლაში ძირეული გარდატეხა მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მძლავრი ზემოქმედებით. ოქტომბრის რევოლუციამ, დაამსხვრია რა რუსეთში სოციალური ჩაგვრის ხუნდები, მაგალითი უჩვენა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს და გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არნახული აღმავლობა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ, დიდი ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებამ, სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევამ ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ მძლავრ აღმავლობას, დააჩქარა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა. ახლა ჩვენს თვალწინ იჩოქვევა დასავლეთის სახელმწიფოთა კოლონიური იმპერიები და აზიისა და აფრიკის ვეებერთელა სივრცეებზე მკვიდრდებიან ახალგაზრდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოები. უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში უკვე დაახლოებით ერთი მილიარდი 250 მილიონი კაცი, ესე იგი დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, განთავისუფლდა კოლონიური დამოკიდებულებისაგან და დაადგა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას. ექვსასმილიონიანმა ჩინელმა ხალხმა გაანადგურა იმპერიალიზმისა და შინაური რეაქციის გაერთიანებული ძალები, შექმნა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო და წარმატებით ახორციელებს სოციალიზმის მშენებლობას თავის ქვეყანაში. სახალხო დემოკრატიისა და სოციალიზმის გზას დაადგნენ აგრეთვე ჩრდილოეთ ვიეტნამისა და ჩრდილოეთ კორეის ხალხები.

შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები გახდნენ ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, სირია, ეგვიპტე, ლიბანი, სუდანი, ტუნისი, მაროკო და მთელი რიგი სხვა ქვეყნები, რომლებიც წარსულში კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნები იყვნენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებები ხელს უწყობენ მშვიდობის ძალების ზრდასა და განმტკიცებას, რომლებიც გამოდიან იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული ძალების წინააღმდეგ.

მშვიდობისათვის მსოფლიო ბრძოლასთან ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ კავშირს ერთხელ კიდევ დამაჯერებლად მოწმობს ამასწინანდელი ამბები არაბულ აღმოსავლეთში. ეგვიპტელი ხალხისა და ყველა სხვა არაბ ხალხთა გამარჯვებამ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში არა მარტო განამტკიცა ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა, არამედ ეს დიდი წვლილიც იყო მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ძირეულად შეიცვალა მდგომარეობა აზიის ქვეყნებში. აზიის ხალხთა უმრავლესობა განთავისუფლდა კოლონიზატორების უღლისაგან.

განუხრელად იზრდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა აფრიკაშიც, სულ ცოტა ხნის წინათ, მეორე მსოფლიო ომამდე, აფრიკის კონტინენტი კოლონიური ბატონობის ყველაზე „მშვიდი“ რაიონი იყო. ჩვენს დროში თითქმის მთელი აფრიკა, **რომლის მოსახლეობა 200 მილიონ კაცს აღემატება,** მოცულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით. მისი სულ მივარდნილი კუთხეებიც აღარ წარმოადგენენ კოლონიზატორთა უდარდელი ბატონობის ზონას.

ამას წინათ ალჟირის არაბთა კვარტალებში მოქალაქე. საგენტო „ინტერკონტინენტალის“ ფრანგებმა დაუპატიმრეს 600 ადგილობრივი აქ წარმოდგენილ ფოტოსურათზე ნაჩვენები არიან ჩხრეკის დროს ქუჩებში დაპატიმრებული ალჟირელები.

1957 წლის მარტში ოფიციალურად გამოცხადდება ინგლისის კოლონიის **ოქროს ნაპირის** (განის) დამოუკიდებლობა. ამ ქვეყნის ხალხთა მასები ნაგრძელიგ და შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან თავიანთი თავისუფლებისათვის. ინგლისელმა კოლონიზატორებმა ბევრჯერ სცადეს სისხლში ჩაეხშოთ ოქროს ნაპირის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ ვერავითარმა რეპრესიამ ვერ გატეხა ამ ქვეყნის ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. კოლონიზატორები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ.

თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მძიე და შეუპოვარ ბრძოლას ეწევა **ალჟირის** ხალხი. ფრანგმა კოლონიზატორებმა ხელთ იგდეს საუკეთესო მიწები, მათ ხელშია ამ არაბული ქვეყნის მაღაროები და რკინიგზები, ბანკები და უდიდესი სამრეწველო საწარმოები. ალჟირელ ხალხს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში. ცდილობენ რა ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ალჟირელებისა, რომლებიც არ ურიგდებიან კოლონიურ ჩაგვრას, ფრანგი კოლონიზატორები სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ. ალჟირში დაპატიმრებულია მრავალი ათასი კაცი, სიკვდილი მიესაჯა ასობით ადამიანს. მაგრამ ყოველივე ამან მხოლოდ გააძლიერა ალჟირელი ხალხის სიძულვილი იმპერიალისტებისადმი, გამოაწრთო და დაარაზმა იგი სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში.

ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლას ეწევა **კენიის** ხალხი.

მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის **კამერუნში.** 1955 წლის მაისში საფრანგეთის იმპერიალისტები, ცდილობდნენ რა „დაემშვიდებინათ“ კამერუნის ურჩი ხალხი, მხეცურად გაუსწორდნენ მას. სამი დღის განმავლობაში საფრანგეთის ჯარები ხვრეტდნენ უიარაღო ხალხს მხოლოდ იმისათვის, რომ მან საგაფიცვო ბრძოლით სცადა გამოეთქვა პროტესტი კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. სამხედრო თვითმფრინავები მცელავი ფრენით მოსახლეობას ტყვიამფრქვევებს უშენდნენ. კოლონიზატორები ფიქრობდნენ მოესპოთ კამერუნის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგრამ სასტიკად მოტყუვდნენ. კამერუნის ხალხს ბრძოლა არ შეუწყვეტია.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აქტიური ბრძოლის გზას ადგებიან **მადაგასკარის, ნიგერიის** და აფრიკის სხვა ქვეყნების ხალხები.

უკანასკნელ ხანს გაძლიერდა ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლა თავიანთი დამოუკიდებლობისათვის. **ბრაზილიაში** სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ბრძოლა იმ ძარცვის წინააღმდეგ, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები ეწევიან ამ ქვეყანაში. რკინიგზელები გამოდიან იმის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო რკინიგზები გადასცენ საკერძო საზოგადოებებს, რომლებშიც გაბატონებული არიან ამერიკის მონოპოლიები. ამერიკის მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლაში ბრაზილიელი ხალხის გამარჯვებაა ნავთობის სახელმწიფო კომპანიის „პეტრობრაზის“ შექმნა. მშვიდობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მტკიცედ იბრძვის **ჩილის** ხალხი. ამ ქვეყანაში შექმნილია ხალხის ეროვნული ფრონტი, რომელიც აერთიანებს კომუნისტურ, სოციალისტურ, დემოკრატიულ პარტიებსა და შრომის პარტიას. ჩილის მუშათა კლასმა მიაღწია პროფკავშირების გაერთიანებას და იბრძვის დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისათვის. აქტიურდება ანტიიმპერიალისტური ბრძოლა **ურუგვაიში,** რასაც მოწმობს მრავალრიცხოვანი გაფიცვები, დემონსტრაციები, მიტინგები, კრებები ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ხალხთა ეროვნულ-გაწმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ან ყალიბდება ერთიანი ეროვნული ფრონტი, რომელიც წარმოადგენს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის და ეროვნული ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენების პატრიოტული ძალების კოალიციას.

ახლო აღმოსავლეთში მუშათა მოძრაობის განვითარებამ გამოიწვია არაბ მშრომელთა პროფკავშირების ფედერაციის შექმნა, რომელიც აერთიანებს ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, იორდანიის, ლიბიის პროფკავშირებს. ეს პროფკავშირული გაერთიანება იბრძვის არაბთა ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

აფრიკაში მუშათა კლასის როლის გაძლიერება გამოიხატება ინგლისის კოლონიებში პროფკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებით, მაროკოში ერთიანი პროფკავშირული ცენტრის შექმნით, დიდი დამოუკიდებელი პროფკავშირული ცენტრის შექმნისათვის მზადებით, რომელიც გააერთიანებს საფრანგეთის დასავლეთი და ეკვატორული აფრიკის ბევრ პროფორგანიზაციას.

კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით კოლონიური ქვეყნების მუშათა კლასი ცდილობს შექმნას იმპერიალისტების წინააღმდეგ საერთო ეროვნული ფრონტი. მან სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია ამ გზაზე.

იმპერიალისტური წრეები თავგამოდებით ცდილობენ შეაჩერონ კოლონიური სისტემის დაშლის განუწყვეტელი პროცესი. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ომისშემდგომ პერიოდში გამოჩნდა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებისათვის „დახმარების“ გაწევის მრავალი პროექტი. „დახმარების“ გაწევის ნიღბით ეწყობა სხვადასხვა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები, როგორიც არის სეატო, ბაღდადის პაქტი და ა. შ. სინამდვილეში ეს სამხედრო კავშირები მიმართულია აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ.

კოლონიზატორების უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „ეიზენჰაუერის დოქტრინა“, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოაყენეს. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესისაგან მოითხოვა მისცეს მას უფლება გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ახლო და შუა აღმოსავლეთში ყოველ მომენტში, როცა კი იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს. ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს დაიკავოს ინგლის-საფრანგეთის ადგილი ახლო და შუა აღმოსავლეთში, ჩააბოროს მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და დაიმონოს ამ რაიონის ქვეყნების ხალხები.

მაგრამ იმპერიალიზმს არ ძალუძს უკუღმა შეატრიალოს აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიული განვითარება. არაბთა ქვეყნებში განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა, ეგვიპტის წინააღმდეგ ომში აგრესორების დამარცხება მოწმობს, რომ დღითიდღე ძლიერდება ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილება ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო კოლონიალიზმს. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლასთან თავიანთი ღონისძიებების გაერთიანებით ამ ქვეყნების ხალხები ჩაშლიან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგრესიულ ზრახვებს.

იმპერიალისტები ვერ მოახერხებენ შეაჩერონ კოლონიური სისტემის დაშლა. ეს არის კანონზომიერი და უძლეველი პროცესი და არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი შეჩერება.

ვ. ფედინინი.

სეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-ნმა კაუცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილმა, თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ, ანტანტის ბადეში გახვეულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“ (ი. ბ. სტალინი. თხზ. ტ. 4, გვ. 446-447).

* * *

1920 წლის დეკემბრის ბოლოს რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების შესახებ. რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე 1921 წლის იანვრის პირველი რიცხვებიდან საქართველოს პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას. აჯანყებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს წითელი რაზმების შექმნა უმნიშვნელოვანეს ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, ყველა დიდი პუნქტის დასაკავებლად. წითელ რაზმებში ფართო ნაკადად შედიოდნენ მუშები, გლეხები, კომუნისტები, კომკავშირელები, მშრომელი ახალგაზრდები. ისინი წითელ რაზმებში სწავლობდნენ სამხედრო საქმეს, ყოველნაირი გზით შოულობდნენ იარაღს, ვაზნებს, ხელყუმბარებს, ეცნობოდნენ შაშხანას, ემზადებოდნენ ბრძოლებისათვის.

მენშევიკურმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა მრისხანე აჯანყება, რომელსაც საქართველოს ბოლშევიკები ამზადებდნენ, მიიღო ყველა ზომა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, აჯანყების ორგანიზატორების — ბოლშევიკების გასანადგურებლად. 1921 წლის პირველი იანვრისათვის მენშევიკური მთავრობის საპყრობილეებში გმინავდა ასობით კომუნისტი. მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

თებერვალში მენშევიკურმა მთავრობამ გამოაცხადა 21 ასაკის (19-დან 40 წლამდე) მობილიზაცია. გამოცხადდა სამხედრო წესები, შეიქმნა „სამშობლოს“ ხსნის კომიტეტი. მრავალი სხვა ასეთი ღონისძიება განახორციელეს მენშევიკებმა, მაგრამ ეს იყო უიმედო ცდები მენშევიკური მთავრობისა, რომლის არსებობის დღეები უკვე დათვლილი იყო.

აჯანყება, რომელიც გადაიქცა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის დასაწყისად, მოხდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ბორჩალოს მაზრაში. იგი დაიწყო ღამით 11-12 თებერვალს. აჯანყება სწრაფად იზრდებოდა. მას უერთდებოდნენ სხვა მაზრების გლეხები.

მენშევიკურმა მთავრობამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ჩაექრო აჯანყებები. ამ მიზნით მან აჯანყებების ადგილებზე გაგზავნა ჯარის რეგულარული ნაწილები და სპეციალური დამსჯელი რაზმები, რომლებიც ველური სისასტიკით უტევდნენ აჯანყებულებს.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა 16 თებერვალს, ვ. ი. ლენინს მიმართა თხოვნით საქართველოს მშრომელებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. „ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ვკითხულობთ მიმართვაში, — რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციისა, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა, არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლად შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას“. ამ თხოვნის საფუძველზე 17 თებერვალს XI არმიის ნაწილები აჯანყებულებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით გადმოვიდნენ საქართველოს საზღვარზე. მშრომელები XI არმიას ყველგან ეგებებოდნენ, როგორც მენშევიკური სისხლიანი რეჟიმისაგან განმათავისუფლებელს.

18 თებერვალს რევოლუციურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს, საქართველოს ყველა მშრომელს, რომ მოეკიდათ ხელი იარაღისათვის, დაემხოთ ადგილებზე მენშევიკების ხელისუფლება, შეექმნათ ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები და ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. რევკომის მოწოდების პასუხად აჯანყდნენ რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები, აფხაზეთის მშრომელები, სამეგრელო, აჭარა, გურია, კახეთი... ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში იქმნებოდა რევკომები.

მენშევიკური მთავრობა სულ ახალ-ახალ კონტრზომებს მიმართავდა რევოლუციის წინააღმდეგ. 19 თებერვალს მთავრობამ შექმნა რამდენიმე მინისტრისაგან სპეციალური კოლეგია, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს „დასაცავად“ ძალების მობილიზაციის საქმისათვის. კოლეგიის რეზიდენცია იყო ქუთაისი.

მაგრამ ვერაფერმა ვერ იხსნა მენშევიკური ხელისუფლება. 1921 წლის 25 თებერვალს საუკუნეობით განაწამებმა საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხისა და მისი გმირი საბჭოთა არმიის დახმარებით სამუდამოდ გაანადგურეს საერთაშორისო რეაქციის მიერ ზურგგამაგრებული მენშევიკური მთავრობის სისხლიანი დიქტატურა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. გაუგონრად ბევრი უბედურების მოწმე საქართველოს დედაქალაქში — თბილისში საოციალიზმის დიადი დროშა აფრიალდა.

25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში ლენინს და სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

ვ. ი. ლენინმა 2 მარტს წერილი გამოუგზავნა ორჯონიკიძეს, სადაც სთხოვდა: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“. ამასთანავე ლენინის წერილში მოცემული იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობისათვის საქართველოს მშრომელების ბრძოლის კონკრეტული გეგმა. ვ. ი. ლენინს ასეთი სახელმძღვანელო მნიშვნელობის არა ერთი და ორი წერილი გამოუგზავნია საქართველოს ბოლშევიკებისათვის შემდეგშიც. და სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს მშრომელები განუყოფლად უკავშირებენ ვ. ი. ლენინის სახელს არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას, არამედ ყველა მათს მიღწევებს სოციალიზმის მშენებლობისა და გამარჯვების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებს, ვ. ი. ლენინის მოწაფეებსა და თანამებრძოლებს ი. ბ. სტალინს, ს. მ. კიროვს, ს. კ. ორჯონიკიძეს, ა. ი. მიქოიანს და სხვ.

* * *

36 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ ხნის განმავლობაში საქართველომ, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი ლენინური კავშირის განუყოფელმა ნაწილმა, კომუნისტური პარტიის, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების უანგარო დახმარების შედეგად უდიდეს წარმატებებს მიაღწია მთელ სახალხო მეურნეობასა და კულტურის ყველა დარგში. მოკლე ისტორიულ ვადაში საქართველო ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრი ინდუსტრიის, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკად.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები თავის უფროს ძმასთან — დიდ რუს ხალხთან, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, წარმატებით აშენებენ თავიანთ ბედნიერ და ნათელ მომავალს — კომუნისტურ საზოგადოებას.

ვ. ჟვანია,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ალბანეთის სახალხო კრების IV სესია

ტირანა, 18 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების IV სესია. სესიის დღის წესრიგშია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

მოხსენება 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გააკეთა ფინანსთა მინისტრმა ა. ვერლიმ. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ძმური დახმარებით, თქვა მან, ალბანელმა ხალხმა გასულ წელს ახალი წარმატებები მოიპოვა ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში. სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია 101,7 პროცენტით. სარეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ზრდას მოჰყვა ის, რომ შემდგომ გადიდდა ალბანეთის საფინანსო რესურსები და ასიგნობანი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის.

1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, განაგრძო მომხსენებელმა, შედგენილია იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახა ალბანეთის შრომის პარტიის III ყრილობამ. ბიუჯეტის შემოსავალი შეადგენს 15 მილიარდ ლეკს, გასავალი — 14.900 მილიონ ლეკს. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორისაგან მიღებული სახსრები.

ტირანა, 19 თებერვალი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მეოთხე სესიამ. დეპუტატებმა განიხილეს რესპუბლიკის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. თავიანთ გამოსვლებში ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სახალხო კრების განსახილველად წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი სავსებით შეესაბამება ამოცანებს, რომლებიც ალბანეთის შრომის პარტიის III ყრილობამ დასახა. დეპუტატებმა აღძრეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, გააკრიტიკეს ზოგიერთი სამინისტრო და უწყება.

სახალხო კრებამ ერთხმად მიიღო კანონი 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შეადგენს 15 მილიარდ ლეკს, გასავლის ნაწილი — 14,9 მილიარდ ლეკს, სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ასიგნებულია 5.463 მილიონი ლეკი, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული საჭიროებებისათვის — 2.850 მილიონი ლეკი, თავდაცვის საჭიროებებისათვის — 1 მილიარდი ლეკი.

დეპუტატებმა დაამტკიცეს აგრეთვე სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, გამოცემული სესიიდან სესიამდე.

სტუდენტთა მღელვარება პარიზში

პარიზი, 19 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დილით პარიზის საუნივერსიტეტო ქალაქში მოხდა სერიოზული მღელვარება. 5 ათასმა სტუდენტმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართა ადმინისტრაციის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ — გაასახლოს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლიდან ორი სტუდენტი იმისათვის, რომ ისინი მოითხოვდნენ სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სტუდენტთა ქალაქის რაიონში თავი მოუყარეს პოლიციის დიდ ძალებს. სტუდენტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მოხდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საკდესი). გუშინ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა კვიპროსის საკითხის განხილვას. კვიპროსის საკითხი საბერძნეთმა პირველად დასვა გენერალური ასამბლეის IX სესიაზე 1954 წელს. მაშინ ხმის უმრავლესობით გადაწყდა ამ საკითხზე რეზოლუცია არ მიეღოთ. X სესიაზე 1955 წელს ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება კვიპროსის საკითხი დღის წესრიგში არ შეეტანა.

წელს კვიპროსის პრობლემის განხილვასთან ერთად განიხილავენ ორ საკითხს — ერთია საბერძნეთის მიერ აღძრული საკითხი „კუნძულ კვიპროსის მოსახლეობის მიმართ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპების გამოყენების შესახებ“ და ინგლისის მიერ დასმული ეგრეთწოდებული საკითხი „კვიპროსზე საბერძნეთის მიერ ტერორისათვის მხარდაჭერის შესახებ“.

კომიტეტში პირველმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავეროფმა. მან მოუწოდა მოიწონონ მისი დელეგაციის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ადასტურებს, რომ მდგომარეობა კვიპროსზე სერიოზულად გაუარესდა და სურვილს გამოთქვამს, რომ კვიპროსელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით და განსაზღვროს თავისი მომავალი.

საბერძნეთი, თქვა ავეროფმა, კვიპროსის საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რაიმე აგრესიული მიზნით კი არ აყენებს, არამედ იმისათვის, რომ პატარა ტანჯული ხალხისადმი, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის, გამოყენებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები და კერძოდ თვითგამორკვევის უფლების პრინციპი. საბერძნეთი მხოლოდ ერთი რამით არის დაინტერესებული: კოლონიური ჩაგვრისაგან კვიპროსელი ხალხის განთავისუფლებით.

საბერძნეთი, განაცხადა მან, მოითხოვს, რომ კვიპროსელებმა შეძლონ ადამიანის ძირითადი უფლების — თვითგამორკვევის უფლების განხორციელება, კვიპროსი აღარ უნდა იყოს საკონცენტრაციო ბანაკი, ადამიანის ტანჯვისა და დამცირების ადგილი.

საბერძნეთის წარმომადგენელმა უარყო ინგლისის ბრალდება, რომელიც ცდილობდა საბერძნეთისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა კვიპროსის ამბებისათვის. საბერძნეთის მთავრობას, თქვა ავეროფმა, არასოდეს არ გაუგზავნია იარაღი კვიპროსელი პატრიოტებისათვის. საბერძნეთის მთავრობა მხარს უჭერს კვიპროსელი ხალხის მისწრაფებას მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით. „შეიარაღებული წინააღმდეგობა, თქვა მან, — თვით კვიპროსელების საქმეა“. ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი სრულიად დაუსაბუთებელია.

შემდეგ საბერძნეთის წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისელი ხელისუფლები სასტიკად გაუსწორდნენ არქიეპისკოპოს მაკარიოს, რომლის მთელი დანაშაული ის იყო, ხაზგასმით აღნიშნა ავეროფმა, რომ მან უარი თქვა დაეკმაყოფილებინა კოლონიზატორთა თვითნებური მოთხოვნები.

საბერძნეთს, განაგრძო ავეროფმა, ინგლისის მთავრობა მიიჩნია პასუხისმგებლად იმ უაღრესად საზიზღარი მეთოდების გამოყენებისათვის, რომლებსაც იგი ხანგრძლივი პერიოდის „განმავლობაში მიმართავდა პატარა ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსპობის მიზნით.

საბერძნეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისი ნამდვილ ომს აწარმოებს კვიპროსზე განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, და ამ მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენა ჯარი 25 ათასი კაცის რაოდენობით. ადამიანებს თვითნებურად აპატიმრებენ და ათავსებენ საპყრობილეებში ან საკონცენტრაციო ბანაკებში გაუსამართლებლად და გამოუძიებლადაც კი, თქვა მან; მთელ ქალაქებსა და სოფლებს ადებენ კოლექტიურ ჯარიმას, ბავშვთა ცემა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ავეროფმა მოიყვანა კვიპროსის სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი დევნის ფაქტები. მან ინგლისის მთავრობას ბრალად დასდო სიძულვილის წინასწარგანზრახული გაღვივება კვიპროსის თურქ უმცირესობასა და ბერძენ მოსახლეობას შორის. მან განაცხადა, რომ ინგლისელები ამას სჩადიან, რადგან ემყარებიან პრინციპს „გასთიშე და იბატონე“.

საბერძნეთის წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა, რომ საბერძნეთს ინგლისის მთავრობა მიაჩნია პასუხისმგებლად ყველაზე უხეში კოლონიური მეთოდებით კვიპროსის ეკონომიური ექსპლოატაციისათვის.

დილის სხდომის ბოლოს გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი ნობლი.

ეგვიპტის განათლების მინისტრის პროტესტი ამერიკის საელჩოსადმი

კაირო, 20 თებერვალი. (საკდესი). როგორც ყოველკვირეული „ათ-თაბრარი“ იუწყება, ეგვიპტის განათლების სამინისტრომ პროტესტი განუცხადა ამერიკის საელჩოს კაიროში იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახური ავრცელებს კაიროში ეგვიპტელ სტუდენტთა შორის პროპაგანდისტულ ბროშურას, რომელიც „ქება-დიდებას ასხამს „ეიზენჰაუერის დოქტრინას“.

ერაყის ხელისუფალთა რეპრესიები ერაყში ეგვიპტელ მოქალაქეთა წინააღმდეგ

კაირო, 20 თებერვალი. (საკდესი). კაიროში ჩამოვიდა იმ ეგვიპტელ მასწავლებელთა ჯგუფი, რომლებიც ნური საიდის მთავრობამ გააძევა ერაყიდან, სადაც ისინი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. გზაზეები აქვეყნებენ ჩამოსულთა ნაამბობს იმ დევნის შესახებ, რომელსაც ისინი განიცდიდნენ ერაყის ხელისუფალთა მხრივ.

ქალაქ ნეჯეფის საშუალო სკოლის მასწავლებელმა აბდელ რახმან მუჰამედ ჰელმან და მისმა ცოლმა ყალთა საშუალო სკოლის მასწავლებელმა ილაპარაკეს, თუ რა თვითნებობას იჩენდა ერაყის პოლიცია ეგვიპტელ მასწავლებელთა მიმართ. ერაყიდან ეგვიპტელ მასწავლებელთა გაძევებისას ერაყის ხელისუფლებმა საშუალება არ მისცეს მათ მიეღოთ კუთვნილი ხელფასი ან გაეყიდათ ქონება, რომლის წაღება თან არ შეეძლოთ. მოსულის სამხატვრო სკოლის ყოფილი მასწავლებელი ფავზი მუჰამედ ამმედი დაპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს. ერაყის ხელისუფლებმა იგი ისე გაძევეს ერაყიდან, რომ ნება არ მისცეს თუნდაც პირადი ნივთები წაეღო.

პრეზიდენტ სუკარნოს შეხვედრა კომპარტიის წარმომადგენლებთან

ჯაკარტა, 20 თებერვალი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტ სუკარნოს მიწვევით ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის აიდიტის, გენერალური მდივნის მოადგილეების ლუკმანისა და ნიოტოს შემადგენლობით იყო პრეზიდენტის სასახლეში. პრეზიდენტმა განუმარტა კომპარტიის წარმომადგენლებს თავისი შეხედულებანი, თუ როგორ მოეწყოს ინდონეზიაში პოლიტიკური ცხოვრება, და იმედი გამოთქვა, რომ ამ შეხედულებებს მხარს დაუჭერს მთელი ხალხი.

კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა აიდიტმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს განმარტებისათვის და თქვა, რომ მისი შეხედულებანი შეესაბამებიან ხალხის უმრავლესობის ფიქრებს, გრძნობებსა და სურვილებს.

როგორც პრესის ცნობებშია აღნიშნული, პრეზიდენტ სუკარნოს თვალსაზრისი გამოიხატება იმით, რომ ყველა დიდი პარტია, მათ შორის კომპარტიაც, უნდა გაერთიანდეს მთავრობაში ეროვნული მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად. წარმომადგენლობა მთავრობაში უნდა ემყარებოდეს პარლამენტის არჩევნების შედეგებს. პრეზიდენტ სუკარნოს წინადადებები ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს 21 თებერვალს.

იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება თევზჭერის საკითხებზე

ტოკიო, 19 თებერვალი. (საკდესი). აქ მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირ-იაპონიის თევზჭერის ერთობლივი კომისია. დღეს გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გაიმართა კომისიის ორი პლენარული სხდომა, რომლებზეც განხილეს იდმინისტრაციულ-საფინანსო და სარეგულაციო ქვეკომისიების მუშაობის შედეგები, სავსებით შეათანხმეს და მოიწონეს კომისიის მუშაობის წესები.

კომისია შეუდგა დღის წესრიგის ძირითადი საკითხების განხილვას. სხდომები მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით.

საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის მოსამზადებელ და მომწყობ ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტში

საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის · მოსამზადებელ და მომწყობ ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტში მოდის მრავალი თხოვნა იმის შესახებ, რომ სრულიად საკავშირო ფესტივალის დასკვნითი ნაწილის ჩატარების ვადები გადატანილ იქნას უფრო გვიანი დროისათვის.

ცენტრალურმა საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა ეს თხოვნები და გადაწყვიტა საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის დასკვნითი ნაწილი მოეწყოს არა ა. წ. 20-27 მაისს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო წინათ, არამედ 28 ივლისს — 11 აგვისტოს, ე. ი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის VI მსოფლიო ფესტივალის მოწყობის ვადებში.

საქალაქთაშორისო შეხვედრა



სპორტის მრავალი მოყვარული მიიზიდა მინსკისა და თბილისის სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივების ასპარეზობამ თავისუფალ და კლასიკურ ჰიდაობაში, სიმძიმეების აწევაში. ეს მატჩები მოეწყო თბილისის სახელმწიფო ცირკში 19 თებერვალს.

შეჯიბრებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი.

საქალაქთაშორისო ასპარეზობა დაიწყო შტანგისტთა გამოსვლებით. მჩატე წონაში გაიმარჯვა ა. ხალფინმა (მინსკი), რომელმაც სამჭიდში აჩვენა 315 კილოგრამი და ბელორუსიის ორი (აჭიმვა, სამჭიდი) ახალი რეკორდი დაამყარა. მან მოუგო რ. დათიაშვილს.

როგორც მოსალოდნელი იყო ქვემსუბუქ წონაში გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმიშკიანმა (თბილისი, სამჭიდში 342,5 კილოგრამი). მეორე ადგილზე გამოსულმა მინსკელმა გ. ვორონაშ გაუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი აკვარში (120 კილოგრამი). მსუბუქ წონაში სტუმართა გუნდის წარმომადგენელმა გ. გოლდშტეინმა აჭიმვაში აჩვენა 115 კილოგრამი, სამჭიდში 367,5 კილოგრამი და ბელორუსიის ორი ახალი რეკორდი დაამყარა. გ. გოლდშტეინმა პირველი ადგილი დაიკავა. თბილისელმა ტ. წერალოვმა, რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა, აჭიმა 115 კილოგრამი და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ქვესაშუალო წონაში გაიმარჯვა რ. გალიანმა (თბილისი, სამჭიდში 367,5 კილოგრამი). საშუალო წონაში თბილისელმა ი. შიფცმა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა აჭიმვაში (122,5 კილოგრამი). ამ წონაში პირველი ადგილი დაიკავა ი. ნოვიკმა (მინსკი, სამჭიდში 382,5 კილოგრამი). ქვემძიმე და მძიმე წონაში გაიმარჯვეს კ. ებრალიძემ (თბილისი, სამჭიდში 412,5 კილოგრამი) და ე. ნოვიკოვმა (მინსკი, სამჭიდში 450 კილოგრამი).

ხალიჩაზე პირველ წყვილად გამოვიდნენ უმჩატესი წონის კლასიკური მოჭიდავეები თ. ტუხაშვილი და ი. ლაქტიონოვი (მინსკი). ყსულებით გაიმარჯვა ი. ლაქტიონოვმა. საინტერესოდ მიმდინარეობდა მჩატე წონის მოჭიდავეების სსრ კავშირის ჩემპიონის ო. კარავაევის (მინსკი) და ი. ძებისაშვილის შეხვედრა. ქულებით გაიმარჯვა ო. კარავაევმა.

ქვემსუბუქ წონაში თბილისელ მ. ღუდუშაურის წინააღმდეგ გამოვიდა ე. ბაი. უპირატესობა მეტწილად მ. ღუდუშაურს ჰქონდა და გამარჯვება ქულებით მასვე მიეკუთვნა. მსუბუქ წონაში რ. ძნელაძემ დაამარცხა ვ. ციტნიოვი.

კარგად ჩაატარა შეხვედრა ქვესაშუალო წონის თბილისელმა მოჭიდავემ ზ. ჭითავამ, რომელმაც მე-11 წუთზე სუფთა გამარჯვება მოიპოვა ვ. პეპელოვთან. ა. კუცენკოსა (მინსკი, საშუალო წონა) და გ. სინაურიძის ბრძოლა დამთავრდა პირველის გამარჯვებით.

რ. აბაშიძემ (თბილისი, ქვემძიმე წონა) დაამარცხა მ. ჩიპარიოვი. მძიმე წონაში ო. კანდელაკმა (თბილისი) 4 წუთში წაიკვანა ვ. ნემოვი.

თავისუფალ ჰიდაობაში თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და შეჯიბრება თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. ასპარეზობის შედეგი იყო 8:0. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოჭიდავეებმა რვიდან შვიდი შეხვედრა სუფთად მოიგეს. თბილისის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ო. ეგაძე, ა. მაისურაძე, უ. ბარნაბიშვილი, ს. გაბარაევი, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, შ. დაუშვილი, ვ. ბათლიძე.

* * *

სურათზე: თავისუფალ ჰიდაობაში უ. ბარნაბიშვილისა და ბ. სლუსკინის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელსწინა მე-20 ტური, რომელიც 19 თებერვალს შედგა, განვლილ შეხვედრათა შორის ერთ-ერთი საინტერესო იყო.

ყველაზე ადრე დამთავრდა გროსმაისტერ ტოლუშისა და არონსონის პარტია. მე-10 სვლაზე არონსონმა თავი დამარცხებულად ცნო.

ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა ტალმ› მწვავე ბრძოლის შემდეგ 35-ე სვლაზე შეხვედრა ხოლმოვთან ყაიმით დაამთავრა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული სსრ კავშირის ჩემპიონის ტაიმანოვისა და ფურმანის პარტიაში. ანტოშინმა მჩუგო კლაჩანს.

გროსმაისტერ კერესსა და ნეიშტადტინოვის პარტიაში შავებს პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ხელიდან გაუშვეს ინიციატივა. პარტია გადაიდო კერესისათვის უკეთეს მდგომარეობაში. ბრონშტეინს ტარასოვთან გადადებულ პარტიაში უკეთესი მდგომარეობა აქვს, ხოლო პეტროსიანს — სპასკისთან.

გურგენიძე წარმატებით იბრძოდა ბანიკის წინააღმდეგ. მალე მან მიიღო ფიგურების აქტიური განლაგება და ლაჯაზი კომბინაციით პაიკ მოიგო. პარტია არ დამთავრებულა. გურგენიძეს მატერიალური და პოზიციური უპირატესობა აქვს. ამავე ტურში გადაიდო აგრეთვე ბოლუსლავსკი-ბასინის, სტოლიარ-მიკენასისა და არონინ-ყორჩნოის პარტიები.

უკანასკნელი ტურის წინ ტოლუშსა და ტალს ცამეტ-ცამეტი ქულა აქვთ.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელმწიფო სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ინსტიტუტის შენობაში (უნივერსიტეტის ქ. № 32) 3, 17, 31 მარტს, 11, 28 აპრილს, 12, 26 მაისს დილის 10 საათიდან იწარმოებს კონსულტაციები.

კონსულტაციებზე თბილისსა და მის მახლობელ რაიონებში მცხოვრებ სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა. ქუთაისის მახლობელ რაიონებში მცხოვრებ სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაციები მიიღონ აგრეთვე ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელოგბის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს მათემატიკური ფიზიკის განტოლებებისა და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (მათემატიკური ფიზიკის განტოლებების სპეციალობით).

განცხადებები და საჭირო საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (ძერჟინსკის ქ. № 8, III სართული).

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ფოლადის წარმოების ლაბორატორიის ხელმძღვანელი — ერთი საშტატო ერთეული; 2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლითონთა წნევით დამუშავების (გლინვა) სპეციალობით — ნახევარი საშტატო ერთეული.

კონკურსის ვადა — 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

კონკურსის პირობების გაგება შეიძლება ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში, კამოს ქ. № 34/36, ტელ. — 3-15-69.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელოგბის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს მათემატიკური ფიზიკის განტოლებებისა და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (მათემატიკური ფიზიკის განტოლებების სპეციალობით).

განცხადებები და საჭირო საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (ძერჟინსკის ქ. № 8, III სართული).

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ფოლადის წარმოების ლაბორატორიის ხელმძღვანელი — ერთი საშტატო ერთეული; 2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლითონთა წნევით დამუშავების (გლინვა) სპეციალობით — ნახევარი საშტატო ერთეული.

კონკურსის ვადა — 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

კონკურსის პირობების გაგება შეიძლება ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში, კამოს ქ. № 34/36, ტელ. — 3-15-69.

საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა 22 თებერვლისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან, 07.45 — ქართული სიმღერები, 08.20 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 11.00 — მასალები გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან“, 11.15 — ნაწყვეტები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან, 12.15 — საბჭოთა სიმღერები, 12.45 — ოსური სიმღერები, 13.20 — წითელდროშოვანი ანსამბლის კონცერტი, 14.05 — დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 14.45 — სიმღერები დების ფეოდოროვების შესრულებით, 17.20 — სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა მუსიკის კონცერტი, 18.15 — ქართული მუსიკის კონცერტი, 19.20 — ვალსები, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — საესტრადო მუსიკის კონცერტი, 20.30— „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00—კონცერტის ტრანსლაცია ძერჟინსკის სახელობის კლუბიდან.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59.52 მეტრ ტალღაზე

21.00 — ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ტრიო „დიდი არტისტის ხსოვნას“. 22.10 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურით 66.08 მეტრ ტალღაზე

12.15 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00— გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

ტელეგადაცემათა პროგრამა 21 თებერვლისათვის

20.00 — ყველაზე პატარებისათვის — ნახატი ფილმი „ჯადოსნური ფუნჯი“, 20.25 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები“, 20.40 — კინოჟურნალები „მგვიპტეზე ვერაგული თავდასხმა“ და „ინტერვენტებო, შორს ეგვიპტიდან“, 21.00 — მხატვრული ფილმი „შენ ყოჩაღი ხარ, ანიტა“.

ქალაქ თბილისის მოსახლეობის და ორგანიზაციების საყურადღებოდ

საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემის არტელი **„ავეჯის შეკეთება“** აწარმოებს ავეჯის შეკეთებას როგორც ბინაზე მისვლით, ისე სახელოსნოებში შემდეგი მისამართებით:

კიროვის რაიონი — რიჟინაშვილის ყუჩა № 4, ენგელსის ქ. № 5, ივანიძის ყ. № 36.

სტალინის რაიონი — ტელმანის ქ. № 15.

მოლოტოვის რაიონი — რენინგერის ქ. № 7, კოჩეტკოვის ქ. № 5, ურიცკის ქ. № 16.

ლენინის რაიონი — საბჭოს ქ. № 216.

26 კომისრის რაიონი — ეჩმიაძინის ქ. № 33.

ორჯონიკიძის რაიონი — ერისთავის ყ. № 10-12.

არტელი იღებს დასახერხად მორებს. სამუშაოები სრულდება, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

გამგეობის მისამართი: ქ. თბილისი, ივანიძის ქუჩა № 36, არტელი **„ავეჯის შეკეთება.“**

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველ დღე

პროგრამის მთლიანად გამოცვლა

პირველად თბილისში

ახალი პროგრამა

ახალი ატრაქციონი

ვეფხვები

მარგარიტა ნაზაროვას

ხელმძღვანელობით

და დიდი საცირკო წარმოდგენა

3 განყოფილებად

ახლად ჩამოსული მსახიობთა მონაწილეობით

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

კვირაობით

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთების წინასწარ შეძენა სახცირკის სალაროებში.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — წითელი ყაყაჩო, **რუსთაველის სახელობის**—ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის**—მეფე ერეკლე, **გრიბოედოვის სახელობის**—ფილუქენა მარტურანო, **სომხური დრამის** — დედინაცვალი, **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 40, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—უდანაშაულო დამნაშავენი (7 ს.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (11 და 4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ჩვენი ეზო, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ყველაზე ლამაზი, **კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის** — გმირობა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, საქართველო** (მწვანე დარბაზი) — თეორხალათიანები, **დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი** — პაველ კორჩაგინი, **კოლმეურნე** — უგზოუკვლოდ დაკარგული, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ბაში-აჩუკი, **კომუნარების ბაღი** — ბატონი 420 (I და II სერია), **კომკავშირელი** — კნოპკა და ანტონი.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ ა. წ. 17 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“ (№ 14-10711) გამოცხადებული კონკურსის ვადა გაგრძელებულია ორი კვირით დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. კონკურსი გამოცხადებულია შემდეგ თანამდებობებზე:

1. ანესთეზიოლოგიის კათედრის გამგე —0,5 განაკვ.

2. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგე — 1,0.

3. II ქირურგიის კათედრის პროფესორი ტრავმატოლოგიის განხრით—1,0.

4. ინფექციური კათედრის დოცენტი — 1,0.

ქ. თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 12, ტელეფონი № 3-49-22.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე: 1. დოცენტი — ისტორიის კათედრაზე — ახალ ისტორიაში — 0,5 განაკვეთი; 2. დოცენტი — ისტორიის კათედრაზე — სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში — 0,5 განაკვეთი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, პარისხის მინიჭების შესახებ დიპლომის პირი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

განცხადების შეტანის ვადაა 20 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 35.

მშობლები თამარ, ტარიელ; ეკატერინე, მიტროფანე ნიკურაძეები იუწყებიან

თეზიკო ტარიელის-ძე ნიკურაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II ქ. სამტრედიაში, გამოსვენება ბინიდან, მოლოტოვის ქ. № 94.

მშობლები აკაკი, ნადია, ძმა რუბენ, დები რუსუდან, ასმათ, სიძეები ვ. შენგელია, ალ. ჭყონია, რძალი ე. კერვალიძე ოჯახებით იუწყებიან

სუსანა აკაკის ასულ იმნაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-II, 8 ს. გამოსვენება 23-II, 3 ს. ალ. ჭავჭავაძის ქ. № 25-ბ.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები დოდო, მელიქსედეკ, რძალი ზინა თავართქილაძე, გოგუცა, გრიშა წერეთლები იუწყებიან

საშა ნიფარაძე-წერეთლის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-II, 8 ს. გამოსვენება 24-II, 3 ს. ნაფარეულის ქ. № 16.

შვილები მირიან, დინარა, რძლები ნელი, მარგო, სიძე ი. ჩიხლაძე ოჯახებით იუწყებიან

**ვასილ გრიგო